საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 12 სექტემბერი, 2013 წელი.

№174 (7301)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჯიბეებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

რუსეთი ივანიშვილისგან მეტისმეტს ითხოვს და პოლიტიკიდან სწორედ იმიტომაც მიდის, რომ მოსკოვის ზეწოლა თავიდან აიცილოს

3

◎ ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს?

„კოჭლი იხვის“ ვნებანი

ახლა რატომ ახსენდება პრეზიდენტობის რამდენიმე დღის „მათხუარ“ სააკაშვილს ხუთი წლის წინანდელ ომში დაღუპული გმირები და იმათი გმირი დედები?



„კოჭლი იხვი“, მოგეხსენებათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში იმ პრეზიდენტებს ჰქვიათ, თავიანთი უფლებამოსილების გასვლამდე რამდენიმე თვეღა რომ რჩებათ.

სააკაშვილის ქვეყნის კონსტიტუციით გათვალისწინებული ხუთწლიანი ვადა რვა თვის წინათ გაუვიდა, მაგრამ ისე ებღაუჭება თავის სავარძელს, რომ პრეზიდენტის არჩევნების თარიღის გამოცხადებასთან დაკავშირებით ოთხ დღეზეც კი იკადრა „ვაჭრობა“, რისთვისაც სოციალურ ქსელში „ოთხი დღის მათხუარად“ მონათლეს. ამიტომაც შემეცოდა და მოვიხსენიე იგი „კოჭლ იხვად“.

რაც შეეხება სათაურში ნახსენებ ვნებებს, იგი „მათხუარის“ ბოლოდროინდელმა „გულჩვილობამ“, მეტისმეტმა „გააადამიანურებამ“ თუ „გადემოკრატებამ“ მომაგონა.

ნახეთ, რა თავგამოდებით იბრძვის იგი, ვთქვათ, პრესისა და ტელევიზიის „ხელშეუხებლობა-დამოუკიდებლობისთვის“. იმდენად ხმალამოღებული იბრძვის, თითქოს პრეზიდენტობის პირველი დღეებიდანვე ამის მეტი არაფერი არ ეკეთებინოს და თავისი პირველკაცობა სწორედ დამოუკიდებელი ტელეკომპანია „იბერიის“ ძალადობრივი დახურვით არ დაეწყოს, იმისთვის არ მიეყოლებინოს „202“-იც, არ გაეუქმებინოს რამდენიმე პოპულარული პოლიტიკური თოქშოუ, ყოველივეს „დესერტად“ კი „იმედის“ დარბევა არ გამოეყენებინოს „ყელის ჩასაკოკლოზინებლად“...

ახლა ბიზნესისთვის როგორ „ზრუნავს“ ეს მართლაც „მათხუარი“, თითქოს მისი ზეობის დროს ბიზნესმენთა გაფცქვნა-დატერორება ჩვეულებრივი ამბავი არ ყოფილიყოს. ნასამართლევთათვის ნასამართლობის მოსახსნელადაც ისე ირჯება, თითქოს სამასი ათასზე მეტი პრობაციონერი მის დროს არ გვყოლოდეს...

მოკლედ, კარგ კაცობას თამაშობს „დაკოჭლებული მათხუარი“ და თავისას მიერეკება.

აი, გუშინაც ავლაბრის რეზიდენციაში შეკრიბა მან ხუთდღიან ომში დაღუპული გმირების დედები და ისინი თამარ მეფის ორდენებით დააჯილდოვა.

„ჩემთვის არ არის ქართველი ქალის უფრო გამოჩენილი სიმბოლო, ვიდრე არის ქართველი დედა“, – თქვა „დაკოჭლებულმა“. (ისე, უკაცრავად კი ვარ, უფალო, „იხვო“, მაგრამ, ამ გახსენებაზე „ქართვლის დედის“ ჭიაბერიშვილისეულ „ნათლობაზე“ რას იტყოდით, მახვილისა და ფიალის ნაცვლად ფალოსი და საშო რომ „დააჭერინა“ ხელში?).

იხ. 2 გვ.

ქართული პოლიტიკური პალიტრის ნაცრისფერი ქაოსი

4

საქართველოს ბიუჯეტმა სააკაშვილის შვეულმფრენების ანევა ვერ შეძლო

7

თომას ბახი – სოკ-ის სათავეში

14

ორი საკითხის ირგვლივ აჭეხილი ყაყანი

5

„ლოლიტა“: კამათი დმერთთან

16

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს?

„კოჭლი იხვის“ ვნებანი

(პირველი გვერდიდან)

საქართველოს პრეზიდენტმა შინდისში დაღუპული ჯარისკაცების გმირობაზე ისაუბრა და პარალელი 300 არაგველის გმირობასთან გაავლო.

— ჩვენ გმირებს ვეძებთ წარსულში, მაშინ, როდესაც გმირები არსებობენ დღეს. შინდისში ჩვენი 17 მებრძოლი მრავალი საათის განმავლობაში წინააღმდეგობას უწევდა მტერს. მათ მოგვაგებინეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა. კრწანისის ბრძოლის შემდეგ მტერმა აიღო თბილისი, მაგრამ ცხინვალის ბრძოლის შემდეგ ვერ შემოვიდა, ვერ დაასრულა საქართველოს სახელმწიფოებრიობა. ჩემთვის დიდი პატივი იძნებოდა ჩვენს გმირებთან ერთად თავის გაწირვა მაშინ, ცხინვალში, მაგრამ რადგან გადავრჩი, უნდა გავაგრძელოთ ჩვენი ბიჭების ბრძოლა და მივიყვანოთ დასასრულამდე, — აღნიშნა მან.

მისი შეფასებით, იმპერია აუცილებლად ჩამოიშლება და მოღალატეებიც უკან დაიხევენ.

მიხეილ სააკაშვილმა ჯარისკაცების დედებს მადლობა გადაუხადა, რომ მათ საქართველოს პატრიოტები გაზარდეს და აღნიშნა, რომ მისთვის თითოეული ქართველი გმირის დედა გმირია.

ჩემთვის დიდი პატივი იქნებოდა ჩვენს გმირებთან ერთად თავის გაწირვაო, — წუხს „მათხუარი“, **მაგრამ ვერ გაწირა და გადარჩა, რადგან იმ ბიჭებმა თავიანთი სიცოცხლის ფასად დაიცვეს ის ქართული მიწა, რომელი მიწაც „ვაჟკაცმა მთავარსარდალმა“ ომისას გორში ცხვირით მოხნა,** ისინი კი, ისე, რომ სანგრებსაც არ შეფარვიან, გადაულახავ ზღუდედ აღემართნენ მტერს.

ერთადერთშიღაა მართალი „კოჭლი იხვი“ — თითოეული ძართველი გმირის დედა გმირიაო.

სრული სიმართლეა, მაგრამ ხუთი წლის შემდეგღა რად გაახსენდა „მათხუარს“ ომის გმირი გიორგი ანწუხელიძე და მისნაირი მართლაც გმირი ვაჟკაცების დასტურ გმირი დედები?

კი არის ნათქვამი, ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, მაგრამ თავის დროზე არ სჯობდა ამის გახსენება?

თუმცა მაშინ რა საჭირო იყო ეს „გულჩვილობა“: მომავალ არჩევნებამდე ხომ თითქმის ოთხი წელი გახლდათ დარჩენილი, ხოლო „შეფის“ „დაკოჭლების“ პერსპექტივა არც განიხილებოდა ხელისუფლებაში სულ მცირე კიდევ 20-30 წლით დარჩენის მოსურნე განაცმოძრაობელთათვის?

მაგრამ ისე გამოვიდა, მიშა ბჭობდა და ბიძინა იცინოდა!

ჰოდა, პირს ილამაზებს „კოჭლი იხვი“.

რუსლან რუსია

◎ დაიძრა!

ღვინის ექსპორტი ელვის სისწრაფით იზრდება

ძართული ღვინის ექპორტმა უკვე 43%-ით მოიმატა და წლის ბოლომდე ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზრდება. რუსეთში პროდუქციის გატანის მსურველთა რაოდენობაც სწრაფად იზრდება და ამიტომ ჩრდილოეთიდან ექსპერტთა მესამე ვიზიტი დაიგეგმა, რომლის დროსაც 30-მდე ქართულ კომპანიას შეამოწმებენ, მათ შორის არის მინერალური წყლის ხუთი მწარმოებელი, ასევე ღვინის, სპირტისა და ლუდის კომპანიები.

„როსპოტრებნადზორის“ ექსპერტებს თბილისში 16 სექტემბრისთვის ელოდებიან. ერთკვირიანი ვიზიტის ფარგლებში რუსი სპეციალისტები ქართულ კომპანიებს თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით — რაჭაში, აჭარაში, ქართლსა და კახეთში შეამოწმებენ.

ამ დროისთვის რუსეთის ბაზარზე დაშვებულია ალკოჰოლური სასმელის 65 მწარმოებელი და მინერალური წყლის დამამზადებელი 4 კომპანია. ივლისის მონაცემებით, ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ექსპორტი, წინა წლების ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 43%-ით არის გაზრდილი.

როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია აცხადებს, აღნიშნული მაჩვენებლის ზრდა ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საექსპორტო არეალის გაფართოებამ, განსაკუთრებით კი, რუსეთის ბაზარზე დაბრუნებამ განაპირობა.

ამჟამინდელი მდგომარეობით, საქართველოდან რუსეთში 7 მილიონი ბოთლი სასმელია გატანილი. რამდენიმე დღის წინათ ქვეყნიდან დაფნის პირველი პარტიაც გავიდა. „ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ, რათა რუსეთში სასოფლო სამეურნეო პროდუქტის ექსპორტი უახლოეს პერიოდში დაიწყოს. შესაბამისად, ყაზბეგის საბაჟო გამშვები პუნქტის მნიშვნელობა მაღალია, რადგან სწორედ ამ გზით უნდა გავიდეს ქართული პროდუქცია“, — განაცხადა შალვა ფიფიამ.

რაც შეეხება სამომავლო პროგრამებს, იგეგმება ვენახების ფართობების დადგენა, აღწერა და აღრიცხვიანობის საკადასტრო სისტემის შექმნა, ასევე, სხვადასხვა რაიონების მიხედვით ყურძნის რაოდენობისა და წარმოების მასშტაბების განსაზღვრა.

მინისტრის პროგნოზით, პირველ წელს მწარმოებლები რუსეთში 10 მილიონამდე ბოთლის გაყიდვას გეგმავენ, რაც ემბარგოს დაწესებამდე არსებულ მაჩვენებელზე ოთხჯერ ნაკლებია.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილე პაატა ჭავაჭანიძე ვარაუდობს, რომ რუსეთში ქართულ ღვინოზე მოთხოვნა, განსაკუთრებით, ახალი წლის პერიოდისთვის გაიზრდება. ამჟამად კავკასიონს იქეთ ერთი ბოთლი ქართული ღვინო, საშუალოდ, 3,5 დოლარი ღირს.

„რეალიზაცია კარგია. რუსული ბაზარი ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და ჩვენი ბიზნესის განვითარების სტიმულია, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში ექსპორტი დივერსიფიცირებული იქნება“, — განმარტავს ჭავაჭანიძე.

მისი თქმით, რუსულ ბაზარზე ქართული ღვინის მიმართ ინტერესი დღითი დღე იზრდება და ქართული კომპანიებისთვის, რომლებიც ექსპორტს ამ მიმართულებით აწარმოებენ, შემაფერხებელი ფაქტორი არ აქვთ.

ეკა ბაძრაძე

◎ ცესკო

თავმჯდომარე თამარ ჟვანია გახდა

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ახალი თავმჯდომარე ჰყავს. კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, ზურაბ ხარატიშვილი თამარ ჟვანიამ შეცვალა.

აღნიშნულთან დაკავშირებით ცესკოში კენჭისყრა ცოტა ხნის წინათ დასრულდა. თავმჯდომარის თანამდებობაზე თამარ ჟვანიას დანიშვნას კომისიის ექვსივე წევრმა დაუჭირა მხარი.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე 9 სექტემბერს სამი კანდიდატურა წარადგინა. თამარ ჟვანიას გარდა წარდგენილი იყო მანუჩარ გამყრელიძისა და კონსტანტინე ამირაჯიბის კანდიდატურები.

ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობა ვაკანტური რამდენიმე კვირის წინათ, მას შემდეგ გახდა, რაც ზურაბ ხარატიშვილმა გადადგომის შესახებ განაცხადა და აღნიშნული გადაწყვეტილება პოლიტიკური მიზნებით ახსნა.

◎ ინფორმაცია

გლეხებს ჩაუბარებელი ყურძენი არ დარჩებათ

საძართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის შალვა ფიფიას განცხადებით, მიმდინარე წელს გლეხს ჩაუბარებელი ყურძენი არ დარჩება.

პროექტ „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობის“ ფარგლებში სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია ჟურნალისტებს შეხვდა და სოფლის მეურნეობის სექტორში მიმდინარე პროექტებზე ესაუბრა.

მინისტრის ინფორმაციით, რთველი 22 აგვისტოს დედოფლისწყაროს რაიონიდან დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს.

მისი თქმით, წლევანდელ რთველზე გლეხს არ დარჩება ჩაუბარებელი ყურძენი, დარგს კი გრძელვადიანი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ექნება.

შალვა ფიფიას განმარტებით, გასულ წლებში, წინა ხელისუფლება პოპულისტური ინტერესებიდან გამომდინარე, რთველს აგროვადებზე ადრე იწყებდა, რის გამოც, პრობლემა ექმნებოდა გლეხს, ვინაიდან, დაუმწიფებელ ყურძენს ღვინის მწარმოებელი კომპანიები არ იღებდნენ. მისი თქმით, წელს მსგავსი პრეცედენტი აღარ მოხდება და მელვინეებიც კმაყოფილები დარჩებიან და გლეხებიც. 1 კილოგრამი ყურძნის ფასი 1 ლარიდან იწყება. გურჯაანში კი სპეციალური შტაბი მუშაობს, სადაც რთველის მიმდინარეობის დაკვირვება ხდება.

ასევე საუბარი, სურსათის უვნებლობის მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებზე და საგაზაფხულო პროგრამის შედეგებზეც გამახვილდა.

ინტერპრესი

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ვისაც „ღიმილიანი საქართველოს“ ფარგლებში კბილები დაგვაძრეს და ჩასმა ვერ მოასწრეს — რა ბედი გვეწევა?

● უბრალოდ დაუკვირდით:
კახა ბენდუქიძე,
გიული ალასანია,
გიგი თევზაძე,
სერგო რატიანი,
სანდრო კვიტაშვილი.

ესენი ფაქტიურად პოლიტიკურად ანგაჟირებული ტიპები არიან ნაციონალების მხრიდან და ეს როჟები (და არა მარტო) უმაღლეს სასწავლებლებში ჰყავდათ ჩანერგილები.

ახლა თაობას იპრავებდნენ ტიპები აზრზე ხართ?! წამლავდნენ თავისი ბინძური მიდრეკილებებით და შედეგად მივიღებდით (თუ არ მივიღეთ უკვე) რაღაც ცივსისხლიან ჰიბრიდებს!

P.S. წლების განმავლობაში გავკიოდით, რომ უნივერსიტეტში ნაციონალური მოძრაობის პროპაგანდა მიდიოდა და ზოგიერთ იდიოტს კი სჯეროდა, რომ სანდრო კვიტაშვილი იყო რექტორი, რომელიც არ დანიშნულა პარტიული კვოტით!

ეგე, გაიშიფრეს თავი, ბაქრაძის საარჩევნო შტაბს უხელმძღვანელებს „რექტორი“.

● ავლაბრის რეზიდენცია ქაჯეთის ციხის პიაცაზე იქნებაო!

● ბევრი „ოცნებისტის“ შესახებ ისეთი ვიდეოა, მათი გამოქვეყნების შემდეგ, არა მხოლოდ მათ პოლიტიკურ კარიერას დაესმება წერტილი, საზოგადოებაში თავის გამოყოფასაც ვეღარ შეძლებენ. მეტიც, საკუთარ ოჯახის წევრებსაც ვერ დაენახვებიან სირცხვილით. აი, ასეთი ადამიანების იმედადაა დღეს ხალხი, ასეთ ადამიანებს სთხოვს, „ნაცმოძრაობას“ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართოს და ამ ბრძოლაში ეს ადამიანები ლიდერებად ხალხს წინ გაუძღვნენ. საუბედუროდ, ეს ადამიანები ამ ბრძოლისთვის არ გამოდგებიან, ისინი „ნაციონალებთან“ კოჰაბიტაციის რეჟიმში ჩინებულად გრძნობენ თავს და დიდად მადლიერნი არ დარჩებიან, როცა ეს პროცესი ოფიციალურად დასრულდება.

დღეს ეს ხალხი იძულებულია, ორმაგი თამაში ითამაშოს — „ქართული ოცნების“ ინტერესები ისე დაიცვას, რომ „ნაცმოძრაობის“ ინტერესები არ დააზარალოს.

● მე მგონი, ქაჯების ქუჩა ერთი არ უნდა იყოს..

ქაჯების ქუჩა 1, ქაჯების ქუჩა 2, ქაჯების ქუჩა 3 და ასე შემდეგ...

● თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე მულღაზანზაროში მეგობრული ვიზიტით როდის მიემგზავრება?

● ფატმანის ქუჩაზე ლენტი პეკინელმა ანჟელამ უნდა გაჭრას?

● ტელევიზორში, ჯერ თბილისის რომელიღაც რაიონის გამგებელი მელია აჩვენეს, მერე აშუშუს წინასაარჩევნო (?!) დელეგაციის ხელმძღვანელი მელია და გაძვირდება ქათამი, აბა რა იქნება?!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

რუსეთი ივანიშვილისგან მეტისმეტს ითხოვს და პოლიტიკიდან სწორედ იმიტომაც მიდის, რომ მოსკოვის ზეწოლა თავიდან აიცილოს

„დიდი ოცეულის“ პეტერბურგის სამიტის შედეგებზე, იმაზე, თუ რა გავლენას იქონიებს ეს შედეგები რუსეთის როლზე საერთაშორისო ურთიერთობებში, აგრეთვე როგორ აისახება ისინი საქართველოსთან დამოკიდებულებაზე, „ინტერპრესნიუსი“ რუსეთში მცხოვრებ ქართველ პოლიტოლოგს, ავთანდილ წულაძეს ესაუბრა.

— ბატონო ავთანდილ, როგორ შეაფასებდით პეტერბურგში დასრულებული „დიდი ოცეულის“ სამიტის შედეგებს? პრეზიდენტმა ობამამ ვერ შეძლო რუსეთისა და ჩინეთის დარწმუნება, რომ გაეროს უშიშროების საბჭოზე მხარი დაეჭირათ სამხედრო ოპერაციისთვის სირიაში. თქვენი აზრით, რას შეიძლება მიანიშნებდეს საერთაშორისო ურთიერთობებში ვაშინგტონის ერთგვარი მარცხით დასრულებული სამიტი?

— ჩემი აზრით, აქ რამდენიმე ასპექტია ერთმანეთზე გადაბმული. პირველი ის გახლავთ, რომ სირია პრეზიდენტ პუტინისთვის შიდა პოლიტიკის თემა გახდა. რუსეთში ძალოვნებისა და ლიბერალების კონკურენცია უკიდურესად გამძაფრებულია. მეორე მომენტი ეკონომიკურია. აშშ-ის ფედერალურ სარეზერვო სისტემას დაწყებული აქვს „რაოდენობრივი შემსუბუქების პროგრამის“ დახურვა, ანუ ამცირებს დოლარის ბეჭდვას და ეს პროგრამა მომავალი წლის ზაფხულში უნდა დასრულდეს. ამის გამო ზარალდებიან განვითარებადი ბაზრები, აგრეთვე ე.წ. BRICS-ის ქვეყნები (სწრაფად განვითარებადი ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთი აფრიკა). ეს იმიტომ ხდება, რომ საერთაშორისო ბაზრის ძირითად მოთამაშეებს კაპიტალი დოლარში გადაჰყავთ. „დიდი ოცეულის“ სამიტზე რუსეთმა და ჩინეთმა მოუწოდეს ამერიკას, არ იჩქაროს „რაოდენობრივი შემსუბუქების პროგრამის“ დახურვა. თუ მიაქციეთ ყურადღება, ყველა, ვინც სირიაში ომის წინააღმდეგია, არიან BRICS-ის წევრი ქვეყნები და პლუს ინდონეზია, ამ ქვეყნებისთვის დოლარის გამყარება ძალიან მტკივნეული პროცესია. ისე გამოვიდა, რომ სირიაში ომის დაწყების მომხრე არიან განვითარებული ქვეყნები, ხოლო განვითარებადი ქვეყნები — წინააღმდეგი. სირიის საკითხი ერთგვარი საშანტაჟო თემა და ბერკეტია, რათა ამერიკამ მსოფლიო ეკონომიკისთვის დოლარის მიწოდება არ შეწყვიტოს.

— პეტერბურგის სამიტზე ევროპელმა ლიდერებმაც გააკეთეს სირიაში ომის დაწყების საწინააღმდეგო განცხადებები. თქვენი აზრით, არც ევროპა არ დაუჭერს მხარს სირიაში ამერიკულ სამხედრო ოპერაციას?

— ევროპა, რა თქმა უნდა, მხარს დაუჭერს, იმიტომაც, რომ აშშ-სა და ევროკავშირს თავისუფალი ეკონომიკური ზონის პროექტის გეგმები აქვთ.

— რას შეიძლება ნიშნავდეს, როგორც ბევრი აღნიშნავს, პეტერბურგის სამიტზე „პუტინის ხულიგნური ქცევა“, საერთაშორისო ურთიერთობებში „რუსეთის ხისტი თამაში“? ობამას მცდელობა, სირიის საკითხში მიეღო მხარდაჭერა, მარცხით დასრულდა და „დიდი ოცეულის“ სამიტზე პუტინის მხარდამჭერები უფრო მეტი აღმოჩნდნენ. თქვენი აზრით, რა კორექტივებს შეიტანს საერთაშორისო ურთიერთობებში დიდი ოცეულის პეტერბურგის სამიტის შედეგები?

— რუსეთის მთავარი პრობლემა ეკონომიკურია. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ინვესტორებს დიდი მოგება აქვთ, ისინი რუსეთიდან გარბიან. ეს დაკავშირებულია ფედერალური სარეზერვო სისტემის განზრახვასთან. რუსეთის ეკონომიკა, ფაქტობრივად, რეცესიაშია. პუტინის პოპულარობა დაკავშირებული იყო ნავთობპროდუქტებისა და ენერგომატარებლების ექსპორტის ზრდასა და აქედან მიღებული მოგების გადანაწილებაზე ელიტებისა და ამომრჩევლის გულის მოსაგებად თუ მოსასყიდად.

ჩემი აზრით, ყველაფერი, რაც საერთაშორისო ურთიერთობებში ხდება, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურ მიზეზებს უკავშირდება. განვითარებული ეკონომიკის ქვეყნები ცდილობენ განცალკევებას განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებისგან. თუ აშშ-ისა და ევროკავშირს შორს თავისუფალი ეკონომიკურო ზონა შეიქმნება, რუსეთი და სხვა განვითარებადი ქვეყნები ეკონომიკური გეტოს ვითარებაში ავტომატურად აღმოჩნდებიან, რაც მათთვის ეკონომიკურ კრიზისს მოასწავებს. ამიტომაცაა, რომ რუსეთი და სხვა განვითარებადი ქვეყნები ევროპასა და ამერიკას შორის ურთიერთობების დაძაბვასა და გაფუჭებას ცდილობენ.

— პეტერბურგის სამიტამდე და თვით სამიტზეც პუტინმა არაერთხელ განაცხადა, რომ „სირია სუვერენული სახელმწიფოა და მის წინააღმდეგ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების გარეშე ძალის გამოყენება მიუღებელია, ვინაიდან ამგვარი ქმედება მხოლოდ აგრესიად შეფასდება“. ხომ არ შეიძლება, საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის თავნებობა იმასაც დავუკავშიროთ, რომ როცა 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ ძალა გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების გარეშე გამოიყენა და მას „მშვიდობის იძულების ოპერაცია“ უწოდა, საერთაშორისო საზოგადოებას მისთვის საკადრისი პასუხი არ გაუცია და დასავლეთი ახლა იმის მაშინ გამოჩენილი უსერხემლობის შედეგებს?

— რა თქმა უნდა, გარკვეულწილად ასეა, მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი, ვინაიდან პოსტსაბჭოთა სივრცე რუსეთის გავლენიდან გადის. სსრკ-ის ყოფილი ქვეყნები რუსეთის კონტროლისა და პატრონაჟიდან ნელ-ნელა გადიან. ყველაზე მტკივნეული რუსეთისთვის უკრაინის ევროკავშირისკენ სწრაფვა და ვილნიუსის სამიტზე უკრაინის მიერ ევროკავშირის ასოცირებული წევრობის შეთანხმებაზე კიევის ოფიციალური წარმომადგენლის ხელმოწერა იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ყაზახეთი რუსეთ-ბელორუს-ყაზახეთის საბაჟო კავშირში შედის, ასტანაში ჩინეთის პირველი პირის, სი ცზინპინის ოფიციალური ვიზიტი იმართება და ძალიან საინტერესოა, რა შედეგებით დასრულდება. საერთოდ, ჩინეთის ხელმძღვანელობა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში სახელმწიფო ვიზიტებს ძალიან იშვიათად აწყობს. ეს ვიზიტი კი მიანიშნებს, რომ ჩინეთი და ყაზახეთი რეგიონში სტრატეგიული პარტნიორები არიან და რუსეთ-ბელორუსულ-ყაზახურ საბაჟო კავშირში ყაზახეთის წევრობას დიდი ეკონომიკური აზრი არ აქვს.

— საქართველოში მალე საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. როგორ გამოიყურება მოსკოვიდან საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და წინასაარჩევნო კამპანია? და კიდევ, 27 ოქტომბრის არჩევნებზე ვისზე ექნება დადებული ფსონი ოფიციალურ მოსკოვს?

— რჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები აქ არავის აინტერესებს. ამ პროცესებისადმი ინტერესი რუსულ მედიაში არანაირად არ ჩანს. პოლიტიკურ წრეებში კი მარტივი მიდგომაა — ძალაუფლება პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის ხელშია და ამ არჩევნებს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.

— კი მაგრამ, პრემიერმა ივანიშვილმა არაერთხელ განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ იგი პოლიტიკიდან წავა..

— კი, ეს აქაც არაერთხელ გაშუქდა. ინტერესს იწვევს, ვინ გახდება ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრი. თავად საპრეზიდენტო არჩევნები, რამდენადაც ვაკვირდები, რუსეთში მაინცდამაინც დიდი ინტერესის საგანი არ არის. რაც შეეხება ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლას, ვისთანაც მე მქონია შეხება, არავის არ აქვს მეტნაკლებად გასაგები პასუხი კითხვაზე, თუ რატომ დგამს იგი ასეთ ნაბიჯს... ჩემი აზრით, პოლიტიკიდან წასვლით ივანიშვილი პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას ესწრაფვის. იგი ცდილობს, თავიდან აიცილოს რუსეთის ზეწოლა. მოკლედ, ჩემი აზრით, რუსეთი ივანიშვილისგან მეტისმეტად ბევრს ითხოვს და იგი პოლიტიკიდან სწორედ იმიტომაც მიდის, რომ მოსკოვის ზეწოლა აიცილოს თავიდან. მოსკოვი ივანიშვილს იმაზე მეტს სთხოვს, ვიდრე მას გაკეთება შეუძლია. პოლიტიკიდან მისი წასვლა კი ასე იკითხება — იმაზე მეტი, რაც გავაკეთე, არ შემიძლია. ახლა მთავარი ინტრიგა ის არის, ვინ ჩაანაცვლებს მას და ამ ვითარებაში რა ნაბიჯებს გადადგამს კრემლი საქართველოს მიმართ.

> **რჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები აქ არავის აინტერესებს. ამ პროცესებისადმი ინტერესი რუსულ მედიაში არანაირად არ ჩანს. პოლიტიკურ წრეებში კი მარტივი მიდგომაა – ძალაუფლება პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის ხელშია და ამ არჩევნებს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.**

— „ინტერპრესნიუსთან“ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ ბრძანეთ, რომ „მოსკოვი საქართველოში ქართველ იანუკოვიჩს ეძებს“. უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახვა, რომ იანუკოვიჩი სულაც არ აღმოჩნდა ერთმნიშვნელოვნად პრორუსული პოლიტიკის გამტარებელი. კიევმა უარი თქვა როგორც საბაჟო კავშირში, ისე ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებაზე და გეზი ევროკავშირისკენ აიღო. თქვენი აზრით, მიუხედავად ამისა, კრემლი განაგრძობს თუ არა საქართველოში პირობითი „იანუკოვიჩის“ ძიებას და ვინ შეიძლება იყოს იგი?

— ისეთი სიმბოლური „იანუკოვიჩი“, რომელიც რუსეთს უნდოდა, უკვე ბუნებაში აღარ არსებობს. ამ ტიპის პოლიტიკოსი პოსტსაბჭოთა სივრცეში აღარსად დარჩა და არც არანაირი საფუძველი არ არსებობს, რომ გაჩნდეს. მიზეზი ის გახლავთ, რომ რუსეთი სულ უფრო მეტად კარგავს პოსტსაბჭოთა სივრცეში რეგიონალური ლიდერის სტატუსს. ამის კარგი მაგალითია უკრაინა, მოლდავეთსა და სამხრეთ კავკასიაში არსებული ვითარება.

— ისეთ რთულ ვითარებაში, რომელშიც ახლა ვართ, საქართველოსთვის მთავარია, ქვეყნის შიგნით არ აირიოს ვითარება, სტაბილური განვითარება შენარჩუნდეს და რუსეთს არ მიეცეს ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში ზედმეტად ხელის ფათურის შესაძლებლობა. მოსკოვიდან როგორ ჩანს, შეძლებს ქვეყანა წონასწორობის შენარჩუნებასა და რუსეთის წნეხისგან თავის დაცვას?

— ფაქტია, რომ საქართველო რუსეთის ფოკუსში არ არის. რუსეთი ახლა უფრო მეტად ფოკუსირებულია უკრაინასა და ბელორუსზე. საქართველომ რომ შეძლოს რუსეთის ზეწოლისა და დარტყმის არიდება, მას დროის გაჭიანურება უნდა აწყობდეს. რუსეთისთვის ახლა მთავარი პრობლემა უკრაინაა. მოსკოვიდან ასე მოჩანს, რომ ქართულ პოლიტიკაში დიდი არეულობა და გაურკვევლობაა.

— მოსკოვსა და რუსეთში საკმაოდ ბევრი მდიდარი ქართველი ცხოვრობს. ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, მოახლოებულ არჩევნებზე მათი ფავორიტი რომელი საპრეზიდენტო კანდიდატია? და კიდევ, მონაწილეობენ თუ არა ისინი რომელიმე მათგანის დაფინანსებაში ოფიციალური მოსკოვის დავალებით?

— კონკრეტული ინფორმაცია არ მაქვს, თუმცა, ვისაც სერიოზული კაპიტალი აქვს, ცდილობს, პოლიტიკაში არ ჩაერიოს. არ მგონია, დღეს ქართულ პოლიტიკაში რუსეთში მცხოვრებთა „ქართული კაპიტალი“ მონაწილეობდეს. რუსეთის მსხვილი კაპიტალისთვის საქართველო არ არის იმდენად საინტერესო ქვეყანა, როგორც უკრაინა. საქართველო რუსეთისთვის საინტერესო უფრო გეოპოლიტიკურადაა. თუ სირიაში საომარი მოქმედებები დაიწყო, არ გამოვრიცხავ, რუსეთში დაიწყოს საუბრები, რომ საქართველო ნატოს წევრ თურქეთს ესაზღვრება და აუცილებელია მის სიახლოვეს რუსული ჯარების განლაგება. ამაზე რუსი ექსპერტები დიდი ხანია, ღიად საუბრობენ.

— რუსეთი ამის გაკეთებას საქართველოს ნების გაუთვალისწინებლად შეეცდება?

— არა, მოსკოვი შეეცდება, საქართველოში თავისი ჯარის განლაგებაზე რაღაც ფორმით თანხმობა საქართველოს ხელისუფლებისგან მიიღოს. ასე რომ, ძნელი სავარაუდოა, სირიაში ვითარების გართულებისას მოქმედების რა სცენარს აირჩევს რუსეთი. იმის იმედი, რომ ამგვარი რუსეთი საქართველოსთვის კარგი სცენარით იმოქმედებს, თბილისს ნაკლებად შეიძლება ჰქონდეს.

— საქართველოსადმი რუსეთის ამგვარი მოქმედების შემთხვევაში, სავარაუდოდ, როგორი იქნება დასავლეთის რეაქცია?

— დასავლეთი რუსეთის მიმართ უფრო მეტად ეკონომიკურ ბერკეტებს გამოიყენებს. როგორც უკვე აღვნიშნე, მისი მთავარი ბერკეტია ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ „რაოდენობრივი შემსუბუქების პროგრამის“ დახურვა, ანუ დოლარის ბეჭდვის შემცირება და განვითარებადი ეკონომიკების ფულადი სტიმულირების შეწყვეტა. ეს კიდევ უფრო მეტად გამოიწვევს რუსეთიდან კაპიტალის გადინებას, რაც ქვეყნის შიგნით ვითარებას კიდევ უფრო გაართულებს. როგორც ვხედავთ, რუსეთში პრაქტიკულად ყველა მიმართულებით რთული ვითარებაა, რაც ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზეც აისახება. ვითარება საკმაოდ დაძაბულია და როგორ განვითარდება პროცესები უახლოეს მომავალში, ამის პროგნოზირება შეუძლებელი ხდება.

— ანუ არ გამორიცხავთ, რომ რუსეთი სირიის კონფლიქტის ფონზე რამე მორიგ „სისულელეს“ არ ჩაიდენს?

— „სისულელეები“ რუსეთში ყოველდღე ისედაც ბევრი ხდება, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ ახლა ძალიან სახიფათო პერიოდია როგორც თავად რუსეთისთვის, ისე მისი მეზობლებისთვისაც.

კობა ბენდელიანი

ქართული პოლიტიკური პალიტრის ნაცრისფერი ქაოსი

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლას ექსპერტთა ერთი ნაწილი აღიქვამს შანსად საქართველოში არსებული პოლიტიკური ძალებისთვის - მაღალი კონკურენციის პირობებში განაგრძონ პოლიტიკური მოღვაწეობა. გარდა ამისა, ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ პოლიტიკურ ველზე კვლავ რჩება ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც ხელისუფლებაში დაბრუნების დაუოკებელი წყურვილი ამოძრავებს და რომელიც საკუთარი მიზნების მისაღწევად აკრძალულ ილეთებს დიდი წარმატებით იყენებს. არაერთხელ თქმულა, რომ პოლიტიკურ მონსტრად ქცეული ნაციონალური მოძრაობა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ დაიშლება და შეძლებისდაგვარად, არსებულ პოლიტიკურ სპექტრს შეერევა.

გარკვეულ წრეებში უკვე სერიოზულად განიხილავენ ბენდუქიძის იდეოლოგიური ცენტრიდან გამომცხვარი ლიბერალური პოლიტიკური ცენტრის შექმნას. ასევე ითქვა, რომ შესაძლოა, ახალ პოლიტიკურ ცენტრად მოგვევლინოს ცსკო-ს ყოფილი თავმჯდომარის ზურაბ ხარატიშვილის პარტიის გარშემო გაერთიანებული რამდენიმე პოლიტიკური ძალა, რომელიც სავარაუდოდ, სწორედ ბენდუქიძისგან მიიღებს ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს. ვარაუდობენ, რომ ამ ახალ პოლიტიკურ ძალას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, შემდეგ კი საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების მიზნით ქმნიან. გასაგებია, რომ ასეთი სურვილი ყოფილი ხელისუფლების იდეოლოგებს მართლაც შეიძლება, ამოძრავებდეს, თუმცა ამგადვარი იდეების შანსებსა და რეალურობაზე სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. დაახლოებით რა ტიპის პოლიტიკურ სპექტრს მივიღებთ საპრეზიდენტო არჩევნების დასრულების შემდეგ ამ თემაზე ექსპერტი **მაშა ბერიძე** გვესაუბრება.

— ბატონო ვაჟა, თქვენი შეფასებით, არსებობს თუ არა შანსი, ზურაბ ხარატიშვილის გარშემო გაერთიანდნენ პოსტნაციონალური ძალები და ქართულ პოლიტიკურ ველზე ახალი პოლიტიკური ცენტრი ვიხილოთ?

— ხარატიშვილის გარშემო შეიძლება გაერთიანდეს რაღაც პოლიტიკური ძალა, მაგრამ საქმე ისაა, რამდენად არსებობს მოლოდინი ასეთი ახალი პარტიის გაჩენის და რამდენად მზადაა ქართული საზოგადოება, პოლიტიკურ სპექტრში ასეთი ცვლილებისთვის.

ვთვლი, რომ საზოგადოება არც ასეთი პოლიტიკრი ცენტრის ჩამოყალიბებისთვის არის მზად და არც აქვს ამისი შინაგანი მოთხოვნილება იმდენად, რამდენადაც ლიბერალური ცენტრი როგორადაც ივარაუდება ხარატიშვილის გარშემო შემოკრებილი ძალების ერთობა, არ იქნება პოპულარული ქართულ საზოგადოებაში.

ვერ ვხედავ იდეას, რომელმაც უნდა გააერთიანოს გარკვეული სპექტრი, ასევე ვერ ვხედავ ამ იდეის გარშემო შემოსაკრებ საზოგადოებას. რა იდეა უნდა იყოს ეს — პროდასავლური კურსი, დემოკრატიული ღირებულებების დამყარება, ლიბერალური პრინციპები ეკონომიკაში თუ ეროვნული დამოუკიდებლობის გამყარება, სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება, ქვეყნის განვითარება თუ საგარეო ორიენტირის შეცვლა, პროდასავლურიდან პრორუსულისკენ. და ა.შ.

საერთოდ, საქართველოში არ არსებობს თავისუფალი კაპიტალი, ინტერესთა ჯგუფები, ბიზნესჯგუფები და ა.შ. რომლებმაც საკუთარი ინტერესების ლობირებისთვის უნდა დაუჭიროს ამა თუ იმ პარტიას მხარი.

ის დაყოფაც, რაც დღეს გვაქვს, რეალურად არის ის, რომ დასავლეთი აღიარებს ორ პოლიტიკურ ძალას. ერთი ეს არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ აბსოლუტურად გაუგებარი და არამდგრადი ორიენტირებით — ერთი მხრივ, პრაქტიკაში, შიგადაშიგ მემარცხენე რადიკალიზმით, მეორე მხრივ ევროპელ მემარჯვენეებთან და ცენტრისტებთან ალიანსი „ევროპის სახალხო პარტიის“ წევრობის სახით.

რეალურად ეს იყო ავტორიტარული რეჟიმის დამამკვიდრებელი ძალა, რომლის საქმიანობა დაღდასმული იყო კრიმინალის სერიოზული ბატონობით. ფაქტობრივად ეს პოლიტიკური ძალა არის დღევანდელი მმართველი ძალის რეალური ალტერნატივა, ყოველ შემთხვევაში, მას ასე აღიქვამს დასავლეთი — ამიტომ იყო, მხარს რომ უჭერდა მეორე პოლიტიკურ ძალად მის დაფიქსირებას ქართულ სინამდვილეში.

აქედან გამომდინარე, ამ ორი პოლიტიკური ძალის უკანაც არ დგას ლეგალური კაპიტალი. ვერ ვიტყვით, რომ „ქართული ოცნების“ უკან ივანიშვილის კაპიტალი დგას, რადგან ივანიშვილი არ აფინანსებს ღიად ამ პარტიას და არც პოლიტიკურ კოალიციას. დღეს ისიც კი არ ვიცით, მარგველაშვილის საარჩევნო კამპანიას ვინ აფინანსებს.

ეს თემა საერთოდ დახურულია არა მარტო ამ ორ პარტიასთან მიმართებაში, არამედ მთელ ქართულ პოლიტიკაში. ვიცით, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მდიდარი პოლიტიკური ორგანიზაციაა, მაგრამ ვინ აფინანსებს ამ ორგანიზაციას და რა გზით ნაშოვნი ფული, ჩვენ არ ვიცით.

ამ თემების გარკვევის გარეშე რომელ პოლიტიკურ სპექტრზე უნდა ვისაუბროთ საქართველოში და რომელ ახალ პოლიტიკურ გაერთიანებაზე? ვინ დააფინანსებს ამ გაერთიანებას? იგულისხმება, რომ ბენდუქიძე და კიდევ რამდენიმე ადამიანი, მაგრამ ბენდუქიძე არ ჩქარობს დაადასტუროს, რომ ეს ასეა.

ჩვენს სინამდვილეში ხდება რაღაც საინტერესო მოვლენები, რომელსაც ვერ ვადევნებთ თვალს. თითქოს მედია გვაქვს, თავისუფალი მედიაც კი გვაქვს ზოგიერთი ბეჭდური და ინტერნეტ გამოცემის სახით, მაგრამ არავინ არ იცის, რა ფულით დაფუძნდა TV-3 — სერიოზული ტელეკომპანია, სადაც სერიოზული ხალხი შეკრიბეს და სერიოზულ ხელფასსაც უხდიან, სერიოზულ პროგრამებსაც აფინანსებენ. ანუ ქართულ ტელესივრცეში გაჩნდა მოთამაშე, რომელიც კაპიტალის წარმომავლობა არავინ არ იცის. ასე რომ, ასეთ ფონზე პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებაზე ან მათ სახეცვლილებაზე საუბარი სრულიად ნაჩქარევია.

ვფიქრობ, რომ ეს ინიცირებული და ინსპირირებულია, ვგულისხმობ ე.წ. ლიბერალურ ცენტრს, დასავლეთის გარკვეული ძალების მიერ, რომლებიც ხედავენ, რომ საქართველოში გავლენას კარგავენ.

— თუმცა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში არიან პარტიები, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ სატელიტ პარტიებად მოიაზრებოდნენ და დღეს, ასე ვთქვათ, თავშესაფარს ეძებენ. ვგულისხმობ „მემარჯვენეებს“, „ქრისტიან-დემოკრატებს“, თორთლაძის პარტიას და ა.შ. შესაძლებელია ეს სპექტრიც იყოს გამოყენებული რაღაც ტიპის ალიანსის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც შემდგომში პოლიტიკური ცენტრის დატვირთვას შეიძენს?

— პოლიტიკაში ასეთი არითმეტიკა მიუღებელია, რამდენიმე ერთპროცენტიანი პარტიის გაერთიანება ვერ მოგვცემს 20-30%-იან პოლიტიკურ სუბიექტს, ეს გამორიცხულია. ერთადერთი მოქმედი პარტია „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობაა“, რომელიც ცდილობს პოლიტიკური წონის შენარჩუნებას, მაგრამ ძალიან უჭირს. საბიუჯეტო ფინანსების ხარჯზე რაც არ უნდა პოპულარული იდეებით და თუნდაც სწორი აზრებით, ვფიქრობ, ეს შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ასეთი პარტიების გაერთიანებამ რაიმე სერიოზული ძალა შექმნას, გამორიცხულია.

— ვრცელდება პროგნოზები, რომ შესაძლოა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ კოალიციაც დაიშალოს და ზოგიერთი პარტია ხარატიშვილის პოლიტიკური ცენტრისკენ გადაიბირონ. რამდენად ლოგიკურად მიგაჩნიათ ასეთი ვარაუდი?

— ნაკლებად სარწმუნოდ მეჩვენება, რომ კოალიციის დაშლის შემთხვევაში, მაგალითად, „რესპუბლიკელები“ გაერთიანდნენ ხარატიშვილის პარტიაში. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ისინი მოიაზრებიან პროდასავლურ ინტელექტუალურ ძალად, რომელსაც მთელი რიგი ფაქტორების გამო რეიტინგი დაბალი აქვს ხოლმე. მაგრამ მიუხედავად ამისა, სადაც არიან „რესპუბლიკელები“, ის ძალა ყოველთვის სერიოზული პოლიტიკური ძალაა, თუმცა მგონია, რომ „რესპუბლიკელებმა“ პოლიტიკური მანევრის არეალი უკვე ამოწურეს და დრეიფი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ „ქართულ ოცნებამდე“ უკვე ნიშნავს იმას, რომ შემდეგი პოლიტიკური მანევრისთვის მცირე შანსი რჩებათ. დამოუკიდებლად თუ გააგრძელებენ საქმიანობას, თორემ ძალიან სერიოზული პრობლემები შეექმნებათ.

რაც შეეხება „თავისუფალ დემოკრატებს“, ეს არის იმედისმომცემი ძალა, მაგრამ ვერ ჩამოყალიბდა სერიოზულ პოლიტიკურ პარტიად და პრობლემები აქვს როგორც ფინანსური, ასევე ადამიანური რესურსის სახით.

„ეროვნული ფორუმი“ ასევე მგონია, რომ სერიოზული პრობლემების წინაშე დადგება, რადგან „ქართულ ოცნებაში“ გაერთიანების შემდეგ პარტიამ ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა - არც კოალიციაში ჩანს ეს ძალა და არც დამოუკიდებელ არენაზე.

— ანუ კოალიციაში შემავალ პარტიებს ამ ეტაპზე ერთიანობა აწყობთ... ბაქრაძის ირგვლივ გაერთიანებულ „ნაციონალებზე“ რას იტყვით, დარჩებიან პოლიტიკურ ველზე დამოუკიდებელ მოთამაშედ?

— წასულების შესახებ ან კარგი უნდა თქვა ან არაფერი, მოდით არაფერი არ ვთქვათ. დასავლეთიდან უდიდესი მხარდაჭერის შემთხვევაშიც კი მათ არანაირი შანსი არ ექნებათ.

— არასაპარლამენტო ძალებიდან თქვენი შეფასებით, რომელი პოლიტიკური სუბიექტი შეიძლება ვიხილოთ სერიოზულ მოთამაშედ?

— ერთადერთი ძალა, რომელსაც აქვს ზრდის და განვითარების პერსპექტივა, ეს არის ბურჯანაძის პარტია. თუმცა აქვე ვიტყვი, რომ დროა, დამთავრდეს საქართველოში პარტიების დაჯგუფება პროდასავლურობისა და პრორუსულობის ნიშების მიხედვით. ეს არის არასერიოზული მოდგომა თანამედროვე პოლიტიკური გამოწვევების პირობებში. ეს უკვე წარსულში უნდა დავტოვოთ.

სამწუხარო რეალობაა და გვიწევდა ამის მიხედვით არჩევანის გაკეთება, მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში უკვე საჭიროა ილაპარაკო ორი პოლიტიკური ცენტრი უნდა იყოს თუ — 22. ასეთი მიდგომები უნდა შეწყდეს. ქვეყნის ეროვნული ინტერესების შედარებით ადეკვატური აღქმის თვალსაზრისით, ერთადერთი პოლიტიკოსი, ვინც მეტნაკლებად რეალურად აღიქვამს სინამდვილეს ეს არის ბურჯანაძე თავისი პარტიით.

სხვა ყველა პარტია იმის ძიებაშია, ვინ იპოვოს პატრონად ამერიკელები თუ რუსები და ეს არის უაღრესად მიუღებელი ჩვენი პოლიტიკური მომავლისთვის, რაც ბიძინა ივანიშვილის განცხადებამ პოლიტიკიდან წასვლის შესახებ უძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა - ფაქტობრივად მოხდა მთელი პოლიტიკური სპექტრის დეზორიენტაცია და დეზინტეგრაცია.

ეს პოლიტიკურ სპექტრს კი არ გააძლიერებს, სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენებს, რადგან ხელისუფლებაზე მიბმული პარტიები მისი ლაქიები არიან — ეს უკვე ვნახეთ „ნაციონალური მოძრაობის“ პირობებში. ფარულად დაფინანსებული პარტიები კი უკვე პარტიები კი არა, მაფიებია.

თავისუფალი ბიზნესი, რომელიც პოლიტიკურ ძალებს დააფინანსებს, როგორც ეს ხდება ცივილიზებულ სამყაროში, საქართველოში არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვდგავართ არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიების დაკნინების, არამედ საერთოდ სუვერენიტეტის დაკარგვის საფრთხის წინაშე.

ამის საპირისპიროდ საჭიროა ძალების დაუყოვნებელი გაერთიანება. ვერ ვიქნებით ხარატიშვილის გაერთიანების იმედად. ჩვენ გვჭირდება პოლიტიკოსები და არა პოლიტიკაში გასასეირნებლად მოსული ადამიანები, თუნდაც მილიარდერები. სხვა შემთხვევაში დაახლოებით ისეთ სიტუაციას მივიღებთ „ხარაზი ვიყავ და ნალბანდობას რა მრჯიდაო“. პოლიტიკა უნდა აკეთონ პოლიტიკოსებმა.

ამ ყველაფერს კარგი გააზრება სჭირდება ქართული საზოგადოების და მათ შორის სამოქალაქო სექტორის მიერ რომელიც ასევე დეზორგანიზებული და დეზორიენტირებულია. მთელი ქართული არასამთავრობო სექტორი ეს აროს კარგად დაფინანსებული 20 ამერიკული ორგანიზაცია, რომლებიც გამოხატავენ არა ქართული სახელმწიფოს, არამედ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ინტერესებს, რაც ხშირად ემთხვევა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, მაგრამ არა ყოველთვის.

ლალი ზირაქიშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

საქართველომ სირიასთან მიმართებაში თავისი პოზიცია დააფიქსირა

საქართველო მხარს უჭერს აშშ-ის მიერ მიღებულ ერთობლივ განცხადებას სირიასთან მიმართებაში, რომელიც გმობს სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებას. ამის შესახებ ინფორმაციას თეთრი სახლის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, საქართველოს გარდა 6 სექტემბერს მიღებულ ერთობლივ განცხადებას მხარს უჭერს კიდევ 7 ქვეყანა — გვატემალა, ქუვეითი, მალტა, მონტენეგრო, პანამა, პოლონეთი და პორტუგალია. სულ კი 33-მდე გაიზარდა იმ ქვეყანათა რაოდენობა, რომლებიც მხარს უჭერენ აშშ-ისა და სხვა ქვეყნების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს სირიასთან მიმართებაში, რათა გაძლიერდეს ქიმიური იარაღის გამოყენების აკრძალვა.

ავსტრალიის, კანადის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, კორეის რესპუბლიკის, საუდის არაბეთის, ესპანეთის, თურქეთის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ლიდერებმა 6 სექტემბერს ერთობლივი განცხადება მიიღეს სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების თაობაზე.

— ჩვენ ვგმობთ 21 აგვისტოს დამასკოს გარეუბნებში განხორციელებულ ქიმიურ შეტევას, რომელსაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. სამხილები ცხადყოფენ, რომ ამ შეტევაზე პასუხისმგებელი სირიის ხელისუფლებაა. მსოფლიო ვერ დაელოდება გაუთავებელ ჩაშლილ პროცესებს, რომელიც სირიაში დაღუპულთა რაოდენობასა და რეგიონულ არასტაბილურობას გაზრდის. ჩვენ მხარს ვუჭერთ აშშ-ისა და სხვა ქვეყნების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, რათა გამკაცრდეს აკრძალვა ქიმიური იარაღის გამოყენებაზე, — ნათქვამია განცხადებაში.

ინტერპრესი

◎ არ იციან და არც სურვილი აქვთ, იცოდნენ!

ორი საკითხის ირგვლივ აფეხილი ყაყანი

გასულ კვირას ერთი ყაყანი გამოიწვია ორმა საკითხმა — ერთობ სერიოზულმა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მეზობელი სახელმწიფოებისთვის. „ყაყანს“ იმიტომ ვამბობ, პოლიტიკოსებსა და მედიაში ატეხილ ხმაურზე, რომ დაუსაბუთებელი მოსაზრების საჯაროდ ფრქვევა, თანაც წინასწარვე მტკიცება იმისა, რომ — ეს არ ვარგა, ნიშნავს ყაყანს. ყაყანებდა ყველა, ვისი გაუთავებელი და უჭკუო, ავანტიურისტული ქმედებით ქვეყანამ ტერიტორიის 20% დაკარგა, გააუარესა ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა, შებღალა ქვეყნის სახელი საერთაშორისო არენაზე.

პირველი, გარედან შემოვიდა — სომხეთის უშიშროების საბჭოს მდივნის განცხადების სახით — საქართველო-სომხეთ-რუსეთის რკინიგზის აღდგენასთან დაკავშირებით. უშიშროების საბჭოს მდივანმა განაცხადა, რომ არსებობს პოლიტიკური გადაწყვეტილება სამი ქვეყნის მეთაურს შორის, აგრეთვე აფხაზეთის ხელისუფლებასთან, დანგრეული რკინიგზის აღსადგენად.

ქართულ მხარეს, სომხეთის მაღალი მოხელის განცხადება, სენსაციად მოეჩვენა, თანაც მიუღებლად და ატყდა ყაყანი. არადა საყაყანო არაფერია, ვინაიდან ივანიშვილმა სომხეთის პრეზიდენტ სარგსიანთან საუბრის დროს, გამოთქვა თავისი დადებითი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით. ნებისმიერი პრაგმატულად მოაზროვნე ადამიანი, მით უმეტეს ქვეყნის ხელმძღვანელი იტყოდა ამას, თანაც ყოველგვარი წინაპირობის გარეშე. თქვა და ისიც დაამატა, რომ ამ საქმეს დრო დასჭირდება.

ნებისმიერი სარკინიგზო, საჰაერო, ავტოსატრანსპორტო, საზღვაო კავშირი, ეკონომიკური თვალსაზრისით, დიდი მოგების მომტანია ქვეყნისთვის. ჩემის აზრით, ამ რკინიგზის აღდგენას მოჰყვება ტვირთების გადაზიდვა არა მარტო სომხეთიდან — საქართველოს გავლით რუსეთში და ევროპა-აზიის ქვეყნებში, არამედ პერსპექტივაში — ირანის რკინიგზაზე მიბმა, სპარსეთის ყურეში გასვლა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ტვირთების გადაზიდვა აღნიშნული რკინიგზით. ეს მარშრუტი გაცილებით იაფი და სწრაფი იქნება, მით უმეტეს უსაფრთხო, ვიდრე სუეცის არხის ან აფრიკის კონტინენტის შემოვლითი საზღვაო გზა.

მაგრამ ეს სამომავლო პერსპექტივაა. რაც შეეხება სადღეისო საქმეს, სომხეთი ემზადება ევრაზიულ სივრცეში ინტეგრაციისთვის და თუ ეს მოხდა, მას უფრო მჭიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონდეს საბაჟო კავშირის წევრებთან. ამდენად რკინიგზის აღდგენა მისთვის უმნიშვნელოვანესი რამ არის. რკინიგზის აღდგენა ხელს შეუწყობს საქართველო-აფხაზეთისა და რუსეთის დაახლოებას, მათ შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბებას და ა.შ.

ქართულმა მხარემ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. უშიშროების საბჭოს მდივანმა ბოკერიამ ბრძანა, რომ მსგავსი რამ შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსეთი მოახდენს აფხაზეთის დეოკუპაციას. ბოკერიას არასერიოზული განცხადება კლავს მეტად სერიოზულ და ყველასთვის საჭირო პროექტს. პროექტზე უარის თქმა ნიშნავს არა მარტო აფხაზეთის სამარადისო გარიყვას, არამედ რუსეთის ბაზრიდანაც დაშორებას.

ბრძოლის ველზე დამარცხებული ქვეყნის ხელისუფლება, ნაცვლად ულტიმატუმებით ლაპარაკისა, დიალოგის გზას უნდა ეძებდეს — უფრო კონსტრუქციულისა და პრაგმატულის, მაგრამ რას ეტყვის მას ე.წ. პარტნიორი აშშ? ეს ქვეყანა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ რკინიგზა არ აღდგეს, ვინაიდან მისი აზრით, რკინიგზის აღდგენა გამოიწვევს რუსეთის პოზიციების აღდგენას საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

სომხეთის უშიშროების საბჭოს მდივნის განცხადება, გამომდინარეობს სომხეთისა და რუსეთის პრეზიდენტების ბოლო შეხვედრიდან, რომელზეც, როგორც ჩანს, პუტინმა მზადყოფნა გამოთქვა დანგრეული რკინიგზის აღსადგენად გარკვეული თანხის გამოყოფისათვის. და რახან ივანიშვილს სარგსიანისთვის უკვე ნათქვამი ჰქონდა თავისი დადებითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით, თავს უფლება მისცა გაესაჯაროებინა გულის წადილი. ის ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ ქართული მხარის თანხმობა, სულაც არ ნიშნავს თანხმობას და ის უბრალოდ ითქვა სიტყვის მასალისთვის, თანაც ყოველგვარი პოლიტიკური დატვირთვის გარეშე.

* * *

მეორე საკითხი ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციაზე გამოთქმულ მოსაზრებას ეხება. პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ ევრაზიული კავშირი მან არ იცის, რა არის, რას წარმოადგენს და თუ ის საინტერესო იქნება ქვეყნისთვის, რატომაც არა? ჟურნალისტის მიერ დასმული კითხვის პასუხს ივანიშვილმა 19 წამი მოანდომა და ამდენი ყაყანი, მრავალი საათისა და დღის განმავლობაში!

ივანიშვილს აგინებდა ყველა, როგორც ოპოზიცია, ისე ხელისუფლება, თანაც ისე გააფთრებით, თითქოს ქვეყანა დაიქცაო - ეს როგორ შეიძლებაო, ეს ხომ რუსეთის მონობას ნიშნავსო, საბჭოთა კავშირის აღდგენასო და ა.შ. სააკაშვილის ყოფილ მოხელეთა, ამჯერად არასამთავრობო სექტორში გადაბარგებულთა კატეგორიულ განცხადებებში აშკარად გამოსჭვიოდა შიში. შიში მეზობელი ქვეყნისა, თუმცა იქნებ შიშის იმიტაცია სხვის შესაშინებლად ანუ ხალხის შესაშინებლად რუსული აგრესიული დათვით.

თითქმის ოცი წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლება რუსეთით აშინებს საკუთარ მოსახლეობას და ამ საქმეში მას ზურგს უმაგრებს აშშ-ის ადმინისტრაცია. — ამერიკა-სააკაშვილის მიერ ამუშავებული პროპაგანდისტული მანქანა, მძიმედ მოქმედებს ხალხზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებზე, რომელთაც ცოცხალი რუსი არ უნახიათ.

ევრაზიული კავშირი საბჭოთა კავშირის აღდგენის წინა ნაბიჯებია — ამტკიცებდნენ სააკაშვილები. უცოდინარობა სულაც არ არის დასაძრახი, მაგრამ პოლიტიკოსისგან, რომელსაც მინიმალური ჭკუა უნდა მოეთხოვებოდეს, უცოდინარობა დასაგმობია.

ევრაზიული კავშირი ან ერთიანი საბაჟო კავშირი არც საბჭოთა კავშირის აღდგენის მომასწავებელია, არც კრემლის დიქტატის აღორძინების. რა ეტყობა ბელორუსს კრემლის დიქტატის? როდესაც მინსკი ყოველგვარი დაფიქრების გარეშე იჭერს „ურალკალიის“ გენერალურ დირექტორს ბაუმგერტნერს, ხოლო ერთ-ერთ რუს ოლიგარქს და ამ კომპანიის დამფუძნებელს, კერიმოვს ინტერპოლს გადასცემს დასაჭერად — ყველაფერი ნათელი უნდა იყოს — კრემლის დიქტატიც და საბჭოთა კავშირის აღდგენაც.

საბაჟო კავშირის ერთ-ერთი წარმომადგენელი ყაზახეთი, პრეზიდენტ ნაზარბაევის სახით, „დიდი ოცეულის“ სანკტ-პეტერბურგის სამიტში იღებდა მონაწილეობას, როგორც დამოუკიდებელი, წარმატებული სახელმწიფო.

თანამედროვე საქართველომ, ნაცების პროპაგანდის წყალობით, არაფერი იცის თანამედროვე რუსეთის შესახებ. არ იცის და არც სურვილი აქვს იცოდეს, ვინაიდან ასე უნდა სტრატეგიულ პარტნიორს. სადამდე?!

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ ღია წერილი

ქართული განათლების სისტემის განვითარებას და მართვას ქართული პედაგოგიკის მეცნიერებით უზრუნველყოფა სჭირდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ქალბატონ თამარ სანიკიძეს

ქალბატონო მინისტრო!

ნება მოგვეცით, დაგიდასტუროთ ჩვენი პატივისცემა იმ პირველი პრინციპული ნაბიჯებისთვის, რომელიც თქვენ გადადგით მინისტრის პოსტის დაკავებისთანავე. ამავე დროს, გთხოვთ, კადნიერებად არ ჩაგვითვალოთ ღია წერილით მომართვა. სხვა გზა, ამჯერად, არ გვაქვს. სხვა საშუალებით გამოგზავნილი წერილი ბიუროკრატიული ლაბირინთების გავლას დიდ დროს მოანდომებს და თქვენამდე ან მოვა ან არა. დიდი დრო კი, სამწუხაროდ, არ გვაქვს, არც ჩვენ და, დარწმუნებული ვართ, არც თქვენ.

ეს პირველი ცდა არ არის იმისა, რომ დავლაპარაკებოდით მინისტრს. თქვენმა წინამორბედმა ჩვენს მიერ გაგზავნილ არც ღია წერილზე გვაღირსა პასუხი და არც „დასურულზე“, მაშინაც კი არ შეგვეხმიანა, როდესაც საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა ივანე კილურაძემ წერილობით, ოფიციალურად სთხოვა პასუხი გაეცა ჩვენთვის.

მოკლედ გეტყვით სათქმელს:

დიდი მეცნიერული პოტენციალისა და ტრადიციების მქონე დაწესებულება — იაკობ გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ნაციონალების ხელისუფლებამ ჯერ ილიას უნივერსიტეტის დამატებად აქცია (2006 წელს), შემდეგ კი დაფინანსება შეუწყვიტა (2011 წელს). დაფინანსების შეწყვეტით ინსტიტუტის მუშაობა, ფაქტობრივად, შეწყდა. ახალი ხელშეკრულებით ინსტიტუტში დარჩენილი ოცამდე თანამშრომლიდან 5-6 კაცი ენთუზიაზმით გაგრძელობდა მუშაობას, მაგრამ მათ მიერ შექმნილი სამეცნიერო პროდუქციის მომკითხავი დღემდე არავინ არის. ჩვენ, ალბათ, ინსტიტუტის შენობის დარაჯებად გვთვლიან.

ჩვენი ინსტიტუტი საქართველოს განათლების სისტემის მეცნიერული შტაბის ფუნქციას ასრულებდა. აქ ხდებოდა ყველა განხორციელებული და განსახორციელებელი გარდაქმნების ექსპერტიზა, იქმნებოდა სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები, ხორციელდებოდა ნოვატორული პედაგოგიური იდეებისა და პრაქტიკის აპრობაცია. ინსტიტუტი აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის პროცესში. ახლა ყველაფერი ეს შეწყვეტილია. სწორედ მეცნიერების უგულებელყოფის შედეგია ის, რომ ჩვენს განათლების სისტემაში ბევრი ისეთი ვოლუნტარისტული გარდაქმნა განხორციელდა, რომელიც პედაგოგიკაში უმეცარის პიროვნული ახირებაა მხოლოდ. სამისოდ, სკოლაში ხუთწლიანების მასობრივად მიღების გადაწყვეტილების გახსენებაც კმარა.

პედაგოგიკის მეცნიერების ინსტიტუტის პარალიზებას ის შედეგი მოჰყვა, რომ გამრავლდნენ განათლების თვითმარქვია ექსპერტები, რომლებიც პედაგოგიკის ყურმოკრული ცნებებით მანიპულირებენ და ფსევდოპატრიოტული დემაგოგიით ცდილობენ, შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოება.

სწორედ ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია აღდგეს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რა თქმა უნდა, არა იმ სტრუქტურით, შინაარსითა და შემადგენლობით, რაც იყო, არამედ ყველაზე რაციონალური და ოპტიმალური სახით. ჯერჯერობით საამისო პოტენციალი არის როგორც უფროს თაობაში, ისე ახალგაზრდებში.

ქალბატონო მინისტრო! თქვენც თუ მიგაჩნიათ, რომ ქართული განათლების სისტემის განვითარებასა და მართვას ქართული პედაგოგიკის მეცნიერებით უზრუნველყოფა სჭირდება, მაშინ ჩვენი წინადადება უყურადღებოდ არ დარჩება.

საჭიროების შემთხვევაში, მზად ვართ, შეგხვდეთ და თქვენთან დეტალურად განვიხილოთ ინსტიტუტის აღდგენა-ფუნქციონირების საკითხები.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ- მკვლევართა სახელითა და დავალებით, პედაგოგიკის დოქტორები:

ზურაბ ცუცქირიძე, ოლეგ ალავიძე, ზურაბ ქოზალია

◎ მიმართვა სრულიად საქართველოს

სხვა გზა, სხვა ხსნა არ გაგვაჩნია

ძალბატონებო და ბატონებო, საქართველოს წინააღმდეგ ყველა დანაშაულის ჩადენას სააკაშვილმა და მის მიერ ორგანიზებულმა ჯგუფმა 9 წელი მოანდომა, რის გამოსწორებასაც მშვიდობიან პირობებშიც კი სულ ცოტა ორჯერ 9 წელი დასჭირდება. ალეგორიულად თუ ვიმსჯელებთ: 9-სართულიანი სახლის აფეთქებას 9 წამიც კი არ სჭირდება, ხოლო მის ხარისხიან აშენებას შეიძლება 9 თვეც კი არ ეყოს (შეადარეთ: 9 წამი — 9 თვე).

ამ დროს, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ბიძინა ივანიშვილი საქართველოს ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ აღორძინებას ხალხს 3-4 წელიწადში დაპირდა (აბა, კარგად გაიხსენეთ). თავის დანაპირების აღსრულებას სამოქალაქო საზოგადოებაში 2014 წელს გადასვლით ის გაცილებით ადვილად მიაღწევს, რადგან პრემიერ-მინისტრის პოსტზე ის კონსტიტუციურად შეზღუდული იქნება.

რა ქველმოქმედებაც ბატონმა ბიძინამ საქართველოს გაუწია, სარაჯიშვილის, ძმები ზუბალაშვილების და კიდევ ორი-სამი მეცენატის მიერ გაღებულ ხარჯებს 10-ჯერ და მეტად აღემატება. ამ დროს, სააკაშვილმა და მის მიერ ორგანიზებულმა ჯგუფმა 9 წლის განმავლობაში ორჯერ მეტი მილიარდი საქართველოდან გაზიდა.

სწორედ ამიტომ, გადაუდებლად საჭიროა ივანიშვილს საქართველოს შინაური მტრებისაგან გზა გავუსუფთავოთ და საქართველოს ასაღორძინებლად მარგვლაშვილს მივცეთ ხმა, და არა ჩრდილოეთზე, ანდა დასავლეთზე შეფარულად ან შეუფარავად სულმიყიდულებს (ყველა კანდიდატი „ლერწამია ქარში“).

სხვა უფრო ალალი ქველმოქმედი ჩვენ პრაქტიკულად არ გვყავს. ბიძინა — ჩვენკენ, ჩვენ კი — ტყისკენ?!

თვალი გაახილეთ, ხალხნო, და დამიჯერეთ: დღეს „სხვა გზა, სხვა ხსნა, არ გაგვაჩნია“.

ბიძინა სავანელი,
პროფესორი, მერაბის ბავშვობისა
და ყრმობის მეგობარი,
ზვიადისა და მერაბის თანაკლასელი,

მშიერი ხალხისთვის ვერ გამოვიყენებთ ტერმინს „სამოქალაქო საზოგადოება“

— „კი არ ვტოვებ და მივდივარ სადღაც, არამედ ვიტოვებ პასუხისმგებლობას, რომ ეს იძნება აბსოლუტურად წარმატებული მთავრობა; არაკორუფციული, ევროპული ტიპის, ტიპური ევროპული მთავრობა ეყოლება საძარმოველოს“, — აცხადებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი. როგორ მთავრობას გვიტოვებს ივანიშვილი, შეძლებს თუ არა მძლავრი სამოქალაქო სექტორის შექმნას, ამ და სხვა თემებზე ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი გვესაუბრება.

— ბატონო სოსო, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, საქართველოს არაკორუფციული, ევროპული ტიპის, ტიპური ევროპული მთავრობა ეყოლება. თქვენი, ექსპერტის თვალით დანახული მთავრობა როგორია?

— დავეთანხმოთ ბატონ ივანიშვილს იმაში, რომ მთავრობა არის არაკორუმპირებული, ევროპული ტიპის და მკაფიოდ გამოხატული ევროპული ფასეულობების მიმდევარია, მაგრამ ეგებ გარკვეული დაზუსტებაც მოგვესმინა, ვართ თუ არა იმ ფუფუნების პირობებში, რომ სწორედ ასეთი მთავრობა გვყავდეს. ანუ ევროპულად არის თუ არა დალაგებული ეს ქვეყანა, რომ ვიტრაბახოთ ევროპული მთავრობით.

ცხადია, უკან დაბრუნებას არავინ აპირებს და საბჭოთა წყობილების გადმონაშთის შექმნასაც არავინ მიესალმება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ქათქათა, ნებიერ, ევროპულ სტანდარტებზე უფრო, ჩვენ გვჭირდება მაღალი უნარების, იმაზე დამაჯერებელი და მიზანსწრაფული მთავრობა, ვიდრე ევროპის სივრცეში არსებობს. დიახ, ჩვენ უნდა ვილტვოდეთ ევროპისკენ, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მუდმივად მოლოდინის რეჟიმი. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ საკუთარი თავიც და ჩვენი მტერ-მოყვარეც, რომ დიახ ევროპისკენ მივდივართ და საკუთარი ცხოვრების წესით ვიმსახურებთ ამას.

ამიტომ, ქებათა ქება მთავრობისა, ალბათ მას შემდეგ შეიძლება გახდეს ჩვენი საზოგადოების მოთხოვნილება, როდესაც გავხდებით ნატოს და ევროკავშირის წევრი. მანამდე კი არის საფრთხე, რომ არც თუ იშვიათად „ნირვანაში“ მყოფი მთავრობა გახდეს რაღაც იდეალი და მკაფიო ნაბიჯებისგან დისტანცირდეს თავად ქვეყანაც.

— რა არის ძირითადი შენიშვნები ამ მთავრობის მიმართ - გამოუცდელობა, არაკომპეტენტურობა თუ რამე სხვა? რის გათვალისწინებას ურჩევდით მას?

— ვფიქრობ, სახეზეა გარკვეული დეფიციტი ქმედებათა სურვილის, დასახულ ამოცანათა მიღწევისთვის თავდადების, თორემ არც გვარიშვილობას ვუწუნებ ვინმეს, არც პატიოსნების ხარისხს, არც სურვილს სიკეთისა. უბრალოდ, ამ სურვილების აღსრულების ნიჭი, რასაც შესაძლოა, სხვამ შნო დაარქვას, უნდა იყოს მკაფიო, დამაჯერებელი, უპირველეს ყოვლისა — საზოგადოებისთვის.

ამდენად, იმ რეალობაში რომელშიც ვართ, საჭიროა არსებული მთავრობის გააქტიურება და თავისუფლების მეტი ხარისხი მოქმედებაში.

— თავად ბიძინა ივანიშვილია ამ მთავრობის ხელმძღვანელი და ლიდერი, მათი პასიურობა ამითაც ხომ არ არის გამოწვეული, რომ ისინი ლიდერს ელოდებიან ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას...

— ეს აქსიომაა, რომ გამოკვეთილი ლიდერის ქვეშ სისტემა ნაკლებად ქმედითია და უფრო მითითებებსა და მოლოდინებს დაელოდება. გარდა ამისა, უნდა გავაცნობიეროთ, რომ არ უნდა არსებობდეს მოულოდნელობის საფრთხე, მთავრობის რომელიმე წევრისათვის და ის დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი რომელიმე ნაბიჯი არ იქნება არასწორად შეფასებული; რომ მას ექნება საშუალება თუნდაც დაშვებული შეცდომის გამოსწორებისა და არ მოუწევთ რაიმე რეპრესიული ნაბიჯის მოლოდინში ყოფნა.

— რეპრესიებსა და მოულოდნელობაში რას გულისხმობთ?

— ვგულისხმობ იმას, რომ ზურგს უკან შეიძლება მიიღონ გარკვეული საკადრო გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლებოდა, არ მიღებულიყო, თუ თავად შეცდომის დამშვები იქნებოდა ჩართული ამ სიტუაციის გამოსწორებაში.

— თავის დროზე ალასანიას ვიცე-პრემიერობიდან გადაყენებას გულისხმობთ?

— ეს უფრო ზოგადი მინიშნებაა, ალასანიას შემთხვევა შეიძლება იყო ასეთი მიდგომის მაგალითი, თუმცა არ ვთვლი, რომ თავდაცვის მინისტრი რაიმე რეპრესიის მსხვერპლია, ჩემთვის ასე ღირებული არ გახლავთ ვიცე-პრემიერის ნომინალური ფუნქცია, რომელიც მე მგონი, თავად ამ ადამიანებსაც ავიწყდებათ, რომ გააჩნიათ. ამდენად ნუ ვეცდებით, რომ მაინცდამაინც დღევანდელ მთავრობაში ვეძებოთ ის საფრთხე, რომელზეც მე ვსაუბრობ.

— როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილს საბოლოოდ აქვს გადაწყვეტილი პოლიტიკიდან წასვლა და ბრძოლის უფრო რთულ ველზე გადასვლა. თვლით თუ არა, რომ საქართველოს მთავარი პრობლემა ამ ეტაპზე მართლაც არის სამოქალაქო სექტორი?

— თუ ბატონ ივანიშვილს გამიზნული აქვს, რომ ქართული სამოქალაქო სექტორი დაემსგავსოს ევროპულს, აქ რასაკვირველია მეტი ჯაფა იქნება გასაწევი, რადგან დღეს ჩვენ ჯერ კიდევ ვცხოვრობთ ეპოქაში, სადაც საკუთარი პატრონი უფრო ღირებულია, ვიდრე ქვეყნის სტრატეგიული განვითარება.

აუცილებელია ჯერ ცნობიერების შეცვლა, რაც მხოლოდ ერთ ადამიანს არ ხელეწიფება, მაგრამ მისი გამოჩენა სამოქალაქო სექტორში შეიძლება გახდეს სერიოზული კატალიზატორი იმ პოლიტიკური პროცესებისა, რომელმაც მთლიანად უნდა მოიცვას საქართველო.

— შევარდნაძის პერიოდიდან მოყოლებული, საქართველოს მთავრობა მისდევდა სტრატეგიას, რომლის თანახმადაც ქვეყანაში არ უნდა გაჩენილიყო საშუალო კლასი, მცირე და საშუალო ბიზნესს არ უნდა მისცემოდა განვითარების საშუალება, რადგან ნახევრად მშიერი ხალხი ნაკლებად ფიქრობს როგორი მთავრობა ჰყავს და ასრულებს თუ არა ეს მთავრობა საკუთარ მოვალეობას. ელოდებით, რომ ეს მთავრობაც ამ სტრატეგიას არ გაჰყვება?

— ამის მაგალითი ხელისუფლებამ უნდა მისცეს ხალხს, სამოქალაქო საზოგადოება არ არის იმდენად ძლევამოსილი, რომ თავად აიძულოს მთავრობა, გზა მისცეს საშუალო კლასის განვითარებას. რა თქმა უნდა, ადამიანი, რომელსაც ყოველდღიურ საფიქრალად ლუკმა-პური აქვს გამხდარი, არ გამოდგება ჯანსაღი საზოგადოების მშენებლად.

ამიტომ არის მუდმივი კრიტიკა ხელისუფლების მიმართ, რომ არ ხდება სერიოზული გარღვევა ყბადაღებული დასაქმების კუთხით. რამდენჯერაც არ უნდა გავიმეოროთ სიტყვა უმუშევრობა, ეს უმუშევართა რაოდენობას არ ამცირებს. ის რომ ჩვენ ვაღიარებთ პრობლემას, რომ ჩვენ გვტკივა, გვაწუხებს რეალობა, მხოლოდ ლამაზი სიტყვებია. მაგრამ სამწუხაროდ, კონკრეტული პროგრამა ასეთი სიტუაციის შეცვლისა, ჯერ არ არსებობს.

— გამოდის, რომ იმ პრობლემას, რომლის მოგვარებასაც ივანიშვილი აპირებს (სამოქალაქო საზოგადოების სიმწიფეში შეყვანა), ალბათ პარალელურად ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა უნდა გასდევდეს, რადგან სოციალურ პრობლემებში ჩაძირული სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიკურ სიმწიფეზე საუბარი შესაძლოა, კეთილ სურვილებად დარჩეს. თვლით, რომ ამ ყველაფრის ერთდროულად მოგვარება შესაძლებელია?

— ნახევრად მშიერი ხალხისთვის ვერ გამოვიყენებთ ტერმინს — სამოქალაქო საზოგადოება. ისინი სამწუხაროდ უფრო ახლოს არიან ტერმინთან, რომელსაც ბრბოდ მოიხსენიებენ. ასე მშიერ ადამიანთა ერთობა სწორედ ბრბოს პრონციპით არის დაავადებული და არა სამოქალაქო საზოგადოების მაღალი ღირებულებებით.

— მთავრობაზე საუბრით დავიწყეთ და დავუბრუნდეთ ისევ ამ თემას. ძალიან მალე ეს მთავრობა დარჩება ხელმძღვანელის გარეშე. ივანიშვილი სავარაუდო კანდიდატს არ ასახელებს, მაგრამ ამბობს, რომ მას თითქმის გადაწყვეტილი აქვს, ვინ იქნება ამ მთავრობის მეთაური. თუმცა შესათანხმებელი აქვს მისი კანდიდატურა როგორც მთავრობის დანარჩენ წევრებთან, ასევე პარლამენტთან. ელოდებით, რომ მთავრობის ახალი მეთაური დღევანდელი გუნდიდან იქნება?

— ძალზე საინტერესო მიდგომაა. ძალიან მახსენებს საკუთარი კონგრესისგან პრეზიდენტ ობამას მოლოდინს სირიაზე თავდასასხმელად ნებართვის მიღებისა, თუმცა კარგად ვიცით, რომ სენატისა და კონგრესის მხარდაჭერის გარეშეც ობამა უფლებამოსილია, ასეთი გადაწყვეტილება მიიღოს. ანალოგს ვაკეთებ - ბატონ ივანიშვილს აქვს ამისი უფლებაც, საშუალებაც და ვალდებულებაც, რომ ხანგრძლივი სჯა-ბაასის გარეშე წარადგინოს საკუთარი კანდიდატი ამ თანამდებობაზე და შემდეგ იურიდიული თუ არა, მორალური პასუხისმგებლობა მაინც შეინარჩუნოს ამ ნაბიჯის გამო.

— თქვენ თუ მოიაზრებთ ვინმეს, ვინც შეძლებდა პრემიერ-მინისტრის ტვირთის ზიდვას?

— არ მიფიქრია ამაზე, არ მიყვარს სხვის საქმეში ჩარევა. თუმცა, თუ თემა წარმოიშვა დამოუკიდებელ ექსპერტთა რომელიმე სხდომაზე, საინტერესო იქნებოდა, ფარული კენჭისყრა მოგვეწყო რამდენიმე კანდიდატის მიმართ. ფარული კენჭისყრა ამ საკითხზე არც პარლამენტში და არც მთავრობაში არ გაიმართება, თუნდაც უმრავლესობის გუნდში.

უფრო სარწმუნო იქნებოდა ჩემთვის, კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ შეთავაზებული კანდიდატები განეხილათ და იქიდან ყოფილიყო შერჩეული, ანუ შეთავაზება იყოს პარლამენტის, არჩევანი — ივანიშვილის და არა პირიქით.

— ისეთი ნაბიჯი გადადგა პარლამენტმა, რომ თავდაყირა დააყენა სწრაფვა ადამიანებისა არა მარტო დარეგისტრირდნენ და მიიღონ მონაწილეობა საპრეზიდენტო არჩევნებში, არამედ სამომავლოდაც, გამარჯვების შემთხვევაშიც კი, ჰქონდეთ მოტივაცია, რომ უარი თქვან ამ თანამდებობაზე, რადგან ასეთი უუფლებო პრეზიდენტი, როგორსაც გვთავაზობს „მეოცნებე“ პარლამენტი, ძნელად წარმოსადგენია. ამიტომ უფუნქციო პრეზიდენტს და ამ თანამდებობის დამკავებელ პოტენციურ კანდიდატებს თუ ისინი უბრალოდ, საკუთარი ოჯახის გასართობად არ მონაწილეობენ საპრეზიდენტო არჩევნებში, ვურჩევდი, ნუ შებღალავენ საკუთარ ავტორიტეტს.

— აქედან გამომდინარე, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვინ იქნება პრემიერი...

— კონსტიტუცია გვეუბნება, რომ ბევრად მნიშვნელოვანია და ახლა, ახალი ცვლილებებიდან გამომდინარე, უკიდურესად მნიშვნელოვანია, ვინ იქნება პრემიერ-მინისტრი. აქ რომელიმე უცნობი სახე იქნებოდა ერთი უზარმაზარი კითხვის ნიშანი და მერე ვეღარავის ვეღარ ვუსაყვედურებდით, რატომ აქვს მას ეს აზრი და არა სხვა — როდესაც ინფორმაცია არ არსებობს, ნებისმიერს შეუძლია გამოხატოს საკუთარი მოსაზრება, იქნება ეს ვინმესთვის მოსაწონი და მისაღები თუ —- არა.

— საქართველოსთვის უჩვეულო სიტუაციაა, როდესაც საყოველთაო არჩევნები ტარდება უუფლებო პრეზიდენტის ასარჩევად, ქვეყნის პირველი პირი კი პირიქით — უნდა დაინიშნოს. აქედან გამომდინარე, მას შემდეგ რაც საზოგადოება სიტუაციას კარგად გაიაზრებს, რა რეაქციებს ელოდებით?

— რეაქციებს ველოდები ზუსტად ისეთს, როგორიც ბუნებრივად ხდება ხოლმე საზოგადოების მოტყუებისას. დიახ ხალხი მოატყუეს, როდესაც იყო საუბარი მაღალი უფლებების მქონე პრეზიდენტზე, რომელსაც უნდა ჰქონოდა საკმარისი ინსტრუმენტი, რომ ყოფილიყო დამბალანსებელი მთავრობის და პარლამენტის საქმიანობის. ამის ნაცვლად მივიღეთ რაღაც სუროგატი, რომლისთვისაც საკუთარი აპარტამენტების გამოყოფაც კი არ აღმოჩნდა აუცილებელი და კანცელარიის კლერკის მსგავსად უნდა მოირგოს სკამი, რადგან იქნებ საკარძელიც აღარ მოიძებნოს მისთვის. ეს ყველაფერი კარგად გამოჩნდება ახალი ცვლილებების დამტკიცებისას.

ესაუბრა

ლალი ზაქარიაძე

◎ ალიან-ჩალიანი

საქართველოში ტურისტების რაოდენობა გაიზარდა

შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა 2013 წლის აგვისტოს სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს.

შსს-ს ინფორმაციით, საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ პირთა შესახებ სტატისტიკური მონაცემების ყოველთვიურ განსაჯაროებას.

2013 წლის აგვისტოს თვე 770 608 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2012 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე 28,2 %-ით მეტია.

რაც შეეხება მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოს ინტერვალს, დასახელებულ შუალედში ჯამურმა რაოდენობამ 3 568 518 ვიზიტი შეადგინა, რაც 26,4%-ით მეტია 2012 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე.

2013 წლის აგვისტოში საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან ((25%), აზერბაიჯანიდან ((21,9%), სომხეთიდან ((26,8%), რუსეთიდან ((44,2%), უკრაინიდან ((59,3%) და ირანიდან (-41,2%) განხორციელდა. ასევე, გარკვეული ზრდის ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით იანვარ-აგვისტოს თვეებში გამოირჩევიან პოლონეთი, ჩეხეთი და ავსტრია (შესაბამისად 72%, 35% და 30%), შუა აზიის ქვეყნებიდან - ყაზახეთის (37%), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან კი ბელორუსიის მოქალაქეები - 64% —იანი მატებით.

ინტერპრესი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„მას შემდეგ, რაც თავი მახსოვს, ყოველთვის ვამბობდი, რომ პოლიტიკაში არ ჩავერთვები. მაგრამ სიტუაციამ მაიძულა მემოძმედა, ვინაიდან მე ვიყავი ძვეყანაში დარჩენილთაგან ერთადერთი თავისუფალი ადამიანი“, — განაცხადა ლატვიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჟურნალისტებთან ინტერვიუში საქართველოს პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც ჩავიდა ლატვიაში, რათა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ფორუმში საგარეო პოლიტიკისა და უშიშროების სფეროს პოლიტიკასთან დაკავშირებით — „რიგის კონფერენციაში“.

საქართველოს პრემიერი: პოლიტიკა არ მომწონს

— როგორ უპასუხებთ კრიტიკას, რაც გაისმის ხელისუფლებაში თქვენი მოსვლის შემდეგ?

— ეს ნორმალურია, რომ ისეთი ახლო მეგობრები, როგორებიც არიან ლატვიელები, ასეთ შეკითხვებს გვაძლევენ. წინა ხელისუფლება არღვევდა ქვეყანაში ადამიანის უფლებებს, მაგრამ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს თავს აჩვენებდა, როგორც დემოკრატიის ცენტრს. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების ცხრა წლის განმავლობაში შეიქმნა სისტემა, რომელმაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონოპოლიზება მოახდინა, აკონტროლებდა ბიზნესს და გამოდიოდა ხალხის წინააღმდეგ. ციხეები გადაივსო, დაახლოებით 300 ათასი კაცი გაასამართლეს პირობითად, ვინაიდან ციხეებში ადგილები აღარ იყო. ჩვენ პატიმართა 70 პროცენტი გავათავისუფლეთ, ვინაიდან მათ შორის ბევრი იყო ისეთი, რომლებიც პატიმრობაში პოლიტიკური შეხედულებების ან დაშინების გამო იმყოფებოდნენ. ყოფილი ხელისუფლება დიდ სახსრებს გამოყოფდა იმისთვის, რომ მოეხდინა თავისი თავის ლობირება საზღვარგარეთ, და ამრიგად მან სწრაფად შეიძინა მეგობრები ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჩვენ მოვედით, მაგრამ უცხოეთში შეეჩვიენ სააკაშვილს, თითქოსდა დემოკრატიის იმიჯს. ამიტომ გაჩნდა ბევრი შეკითხვა, მათ შორის მაგალითად, რატომ გაიმართა ყოფილი პრემიერის სასამართლო.

— როგორ ხედავთ თქვენს შემდგომ როლს საქართველოს საზოგადოებაში?

— ვიქნები აქტიური მოქალაქე. საქმეს გონივრულად უნდა გაუკეთო ანალიზი და არა ემოციებით. ვაპირებ საზოგადოებასთან ერთად დავამუშაო მექანიზმი, თუ როგორ უნდა დავეხმარო მას.

— თქვენ აღიარებთ, რომ წინა ხელისუფლებამ რაღაც კარგი გააკეთა? რუსეთის ბაზრის დაკეტვის შემდეგ ქართული ღვინო გახდა უფრო ხარისხიანი და იშოვა გასაღების ახალი ბაზრები...

— რუსეთის ბაზარი ახლა შეიცვალა — მთელი მსოფლიო აწვდის ღვინოს. სააკაშვილმა დაუშვა შეცდომები. რა გაკეთდა კარგი? სინამდვილეში — ბევრი ცუდი რამ. კარგი იყო ის, რომ წინა ხელისუფლებამ ისწავლა გადასახადების აკრეფა. ის ბიჭები მოვიდნენ, ცვლიდნენ მებაჟეებს ყოველ კვირას და შედეგი ცხადი იყო — ფული მეტი შემოდიოდა. მაგრამ მოგვიანებით ყველაფერი დამახინჯდა — გადასახადების აკრეფა ისწავლეს, მაგრამ დიდი ნაწილი საკუთარ ჯიბეებში მიდიოდა. დადებითი შეიძლება ვუწოდოთ პოლიციის რეფორმას — მათ შეძლეს გარდაექმნათ საბჭოთა დროის კორუმპირებული პოლიცია წესრიგიან და პატიოსან პოლიციად, მაგრამ მოგვიანებით იგიც ხალხის საწინააღმდეგო იარაღად აქციეს.

— როგორ აფასებთ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს?

— ყველა ავითარებდა ურთიერთობას რუსეთთან, მაგრამ ჩვენთვის ეს ურთიერთობა იყო მძიმე. სააკაშვილმა თავდაპირველად ეს ურთიერთობა ცივ ომად აქცია, რუსეთის ხელწერა ჩვენ ვიცით: მაშინ მათ ჰქონდათ არჩევნები და დაიწყეს უზარმაზარი აგრესია დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ჩვენი ტერიტორიის 30 პროცენტი კვლავ ოკუპირებულია. მაშინ რომ სააკაშვილი გონივრულად მოქცეულიყო, და არა ემოციების საფუძველზე, რუსეთის არმია ვერ შეძლებდა შემოსულიყო საქართველოში. იმ დროს ბანდიტური დაჯგუფებები პროვოკაციებს აწყობდნენ, და ყველაფერი დაიწყო იმით, რომ რომელიღაც სახლში შევარდა ტყვია. საკმარისი იყო, გამოეყვანათ ამ რეგიონიდან ოჯახები, მოეწვიათ ევროპელი მეთვალყურეები, მოეწყოთ საერთაშორისო სკანდალი და საქმე ამით დამთავრდებოდა. მაგრამ სააკაშვილმა არჩია ეპასუხა ტანკებითა და თვითმფრინავებით. ის არ უნდა დამორჩილებოდა ავანტიურას. მოგვიანებით რუსეთის არმია შემოვიდა საქართველოში.

— ვინ უფრო მეტადაა პასუხისმგებელი ომის გამო — სააკაშვილი თუ პუტინი?

— არ მინდა გავაკეთო შედარებები. რუსეთი, რასაკვირველია, დამნაშავეა, ის არ უნდა შემოსულიყო, და აგრესიას გამართლება არ აქვს. შენ თავად გონივრულად უნდა დაიცვა საკუთარი სახელმწიფო. სააკაშვილმა დაუშვა უხეში შეცდომები.

— შესაძლებელია თუ არა ამ მოვლენების შემდეგ გადაიჭრას საქართველოს პრობლემები აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან?

— ეს ტერიტორიები არ უნდა დავიწყოთ. ურთიერთობანი რუსეთთან გაუმჯობესდა... არა მგონია უახლოეს წლებში რომ დავაბრუნოთ საქართველოში ჩვენი ძმები — აფხაზები და ოსები, მაგრამ შორეულ მომავალში ეს შესაძლებელია. სიტუაცია არ არის ხელსაყრელი რუსეთისთვის, რომელსაც ისედაც ბევრი პრობლემა აქვს უშიშროებასთან დაკავშირებით ჩეჩნეთში, დაღესტანში, ინგუშეთში.

მთავარი გამოწვევა ჩვენი სახელმწიფოსთვის — ეს არის ეკონომიკა, თანაც სახელმწიფო უნდა გავხადოთ საინტერესო, განვამტკიცოთ დემოკრატიული ინსტიტუტები. ჩვენ ავირჩიეთ გზა ევროკავშირისა და ნატოსკენ. ოსებმა და აფხაზებმა უნდა აირჩიონ, იცხოვრონ თუ არა ჩვენთან ერთად. ამის მიღწევა ძალადობით შეუძლებელია, მეგობრობით კი — შესაძლებელი.

— თქვენ ერთი წელია საქართველოს ხელისუფლებაში ხართ. გაუუმჯობესდა ხალხს ცხოვრება?

— ერთი წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკის გაუმჯობესება ძნელია. მომდევნო წელი იქნება უკეთესი, მესამე —კიდევ უკეთესი, მეოთხე კი — ძალიან კარგი. ჩვენ განვახორციელეთ ბიუჯეტის გადანაწილება გლეხებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სასარგებლოდ. მთავარია ის, რომ მიღწეულია სამართლიანობა. არის ბევრი გაუხსნელი მკვლელობა, რომლებიც კიდევ უნდა გამოვიკვლიოთ. ამჟამად დანაშაულობათა ოდენობა შემცირდა. ადრე ბევრი იყო პოლიტპატიმარი, ადამიანი შეეძლოთ, ჩაესვათ ციხეში და გაურკვეველი იყო, გამოვიდოდა თუ არა იგი იქიდან. ჩვენთან ბიზნესის და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია, სასამართლოებიც.

LATVIJAS AVĪZE

დედამიწის ზურგზე

11 სექტემბრის ტრაგედიის წლისთავზე ამერიკელები ახალ გამოძიებას ითხოვენ

პროექტი „ხელახლა გავიაზროთ 9-11“ ეჭვქვეშ აყენებს ოფიციალურ ვერსიას სამი კოშკის ჩამონგრევის შესახებ — პირველის და მეორისა, რომლებიც გაგლიჯეს ტერორისტების მიერ ხელში ჩაგდებული თვითმფრინავებით და, განსაკუთრებით — მეშვიდე კოშკისა, რომელიც ჩამოინგრა პირველი ორის ჩამოქცევიდან დაახლოებით ხუთი საათის შემდეგ. პეტიციას უკვე 7 ათასზე მეტმა კაცმა მოაწერა ხელი.

* * *

ობამას ტელემიმართვა ერისადმი: თუ დიპლომატები თავს ვერ გაართმევენ, აშშ დაარტყამს სირიას

„მე გავეცი ბრძანება შეიარაღებული ძალების მიმართ დაიცვან ამჟამინდელი სტრატეგია, შეინარჩუნონ ზემოქმედება ასადზე და მზად იყვნენ, მიიღონ საპასუხო ზომები, თუ დიპლომატიური ძალისხმევა წარმატებით არ დასრულდება“, — განუცხადა პრეზიდენტმა ობამამ თანამოქალაქეებს.

* * *

ირანი მზადაა მოლაპარაკებისთვის ბირთვულ პროგრამაზე, გამოაცხადა ახლა უკვე პრეზიდენტმა

„თუ მოპირდაპირე მხარეს აქვს სერიოზული ნება, ირანის ბირთვული პრობლემა მოკლე დროში გადაწყდება“, — განაცხადა როუჰანიმ. ამავე დროს მან დაუმატა, რომ ურანის გამდიდრება თავის მიწაზე— ირანელი ხალხის ერთ-ერთი უფლებაა მსოფლიოს თანადგომის პირობებისა და „მაგატეს“ კონტროლის ქვეშ.

* * *

კანადის სანაპირო დაცვის შვეულმფრენი არძტიკის წყლებში ჩავარდა

დაიღუპა ბორტზე მყოფი სამივე პიროვნება: ყინულმჭრელი „ამუნდსენის“ კაპიტანი, მფრინავი, აგრეთვე მანიტობის უნივერსიტეტის მეცნიერი. „მესერშმიდტი ბო-105“ ბაზირებული იყო ყინულმჭრელზე და ასრულებდა ფრენას ამოცანით — გამოეკვლია სრუტეში ყინულის ზედაპირის მდგომარეობა.

საქართველოს ბიუჯეტმა სააკაშვილის შვეულმფრენების აწევა ვერ შეძლო

მიხეილ სააკაშვილი, როგორც ჩანს, მაინც თავისი ვიპ-შვეულმფრენების გარეშე დარჩება, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ საფრანგეთში შეისყიდა, მაგრამ მხოლოდ ამ ზაფხულს ჩამოვიდნენ საქართველოში. ბიძინა ივანიშვილის მთავრობამ განაცხადა, რომ განზრახული აქვს, უგულებელყოს პრეზიდენტის აკრძალვა და ბაზარზე მოახდინოს ამ თანამედროვე მანქანების რეალიზაცია. თუმცა ამის გაკეთება რთული იქნება — მეტად ძვირია ფასი.

10 სექტემბერს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ დაადასტურა, რომ სურს გათავისუფლდეს იმ შვეულმფრენებისგან, რომლებიც ამ უწყების ბალანსზეა და რომლებსაც თავდაცვის სამინისტრო იყენებს. 2010 წელს ფრანგულ კომპანია „ეუროკოპტერთან“ დაიდო შეთანხმება სამოქალაქო დანიშნულების ორი მანქანის შესყიდვის შესახებ. მასზე ხელმოწერის დროს პარიზში სააკაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს შვეულმფრენთა პარკი ძირითადად რუსეთის მანქანებისგან შედგება, რომლებიც „მოძველდა და არასაიმედოა“. რუსეთის შვეულმფრენების გარდა სამხედრო-საჰაერო ძალებს ჰყავდათ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისგან ნაჩუქარი ნახმარი „ოროკეზები“.

სააკაშვილი დაგვპირდა, რომ ფრანგულ მანქანებს გამოიყენებენ სამაშველო ოპერაციებისთვის, საგანგებო სიტუაციებში, სასწრაფო დახმარებისა და ევაკუაციების დროს.

როგორც ეკონომიკის სამინისტრო იტყობინებოდა, მრავალი დანიშნულების ჰელიკოპტერები საქართველოს ბიუჯეტს 55 მილიონი ევრო დაუჯდა.

ახლა საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, გათავისუფლდეს მათგან. მაგრამ ეკონომიკის სამინისტროში ამბობენ, რომ უნდა მოიძებნოს პოტენციური მყიდველები, მაგრამ „საერთაშორისო ბაზარზე ცნობილი ლიდერები უარს აცხადებენ შვეულმფრენების ყიდვაზე ასე ძვირ ფასად“.

ერთდროულად შეტევაზე გადავიდა სააკაშვილის გუნდი. მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ანდრო ბარნოვმა გამოაქვეყნა პრეზიდენტის აკრძალვა გაყიდვაზე. მისი სიტყვებით, სააკაშვილი, როგორც უმაღლესი მთავარსარდალი, მიიჩნევს, რომ ტექნიკაზე უარის თქმა დაასუსტებს ქართული არმიის ძალას. უფრო მეტიც, ბარნოვმა აღნიშნა, რომ მომდევნო ეტაპზე საქართველოს შეეძლო, მიეღო კიდევ ორი ასეთი შვეულმფრენი — თითქოს ამას ნიკოლა სარკოზი დაჰპირდა. მაგრამ ეკონომიკის სამინისტროში ამბობენ, რომ უფლება აქვთ განკარგონ საკუთარი შეხედულების მიხედვით, ვინაიდან მფრინავი „პუმები“ მათ ბალანსზეა და „პრეზიდენტის აკრძალვას სამართლებრივი საფუძვლები არ გააჩნია“.

იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი შვეულმფრენი თავდაპირველად გათვალისწინებული იყო მხოლოდ სააკაშვილისთვის, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ საუბარი არ სურთ.

— ასეთი ძვირადღირებული „სათამაშოების“ ყიდვა, თანაც ნაწილობრივ კერძო საჭიროებისთვის, — ეს დაუშვებელი ფუფუნებაა, — განუცხადა ჩვენს გაზეთს საქართველოს სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალის „არსენალის“ მთავარმა რედაქტორმა ირაკლი ალადაშვილმა. — ყველაზე მეტად ჩვენს არმიას მიესადაგებიან რუსული „მი“ და ამერიკული „ოროკეზები“. მთაგორიან პირობებში ეს მანქანები სხვებს სჯობია. გასაგებია, რომ რუსეთში მათ ყიდვაზე საუბარი არც ღირს.

ИЗВЕСТИЯ

ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს სამთო საქმისათვის მიღებული უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვით. ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგი და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძევრის მიმდებარე ტერიტორია, „ძევრის" კირქვის (სალორღე) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 15 500 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძევრის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	2 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 12 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 2		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მრომისუბნის მიმდებარე ტერიტორია, მდ. სუფსის ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 84 600 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მრომისუბნის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	11 344 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 134,4 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	2 469 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 12 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 3		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზეკარის მიმდებარე ტერიტორიაზე „ზეკარის" მიწისქვეშა (წყარო) მინერალური (ჩამოსასხმელი) წყალი (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 1 825 მ³ წელიწადში).
		შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. მიწაბოგირას მიმდებარე ტერიტორია, „მიწაბოგირას" სააგურე თიხის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა 40 650 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. მიწაბოგირას მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	2 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 12 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 4		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მინერალური წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამოსტაკებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს
		მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მინერალური წყლის მო-ოვება განახორციელოს დამოსტაკებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მიწერალური წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აცლით ან მის გარეშე. დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება. ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმოთავსებულობის მიწყვრიტება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ) უნდა განხორციელდეს მონიტორინგული დაკვირვებები წყლის დებიტზე, ტემპერატურასა და ქიმიურ შემადგენლობაზე; თ) ლიცენზიის მიღებიდან ხუთი წლის ვადაში უნდა მოხდეს წყლის მარაგების დათვლა და შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა; ი) უნდა განხორციელდეს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა; კ) ექსპლუატაციის პერიოდში უნდა განხორციელდეს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი; ლ) ექსპლუატაციის პროცესში უნდა აღიკვეთოს წყლის უმიზნოდ დაღვრა; მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოქალაქეებს არ შეუზღუდოს გადაადგილების უფლება ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე. ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ო) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზეკარის მიმდებარე ტერიტორიაზე „ზეკარის" მიწისქვეშა (წყარო) მინერალური (ჩამოსასხმელი) წყალი (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 1 825 მ³ წელიწადში).

7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზეკარის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	2 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 12 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 5		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოების დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აცლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს.
		აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი პერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ) სალიცენზიო ობიექტის სანიტარული ნორმების დაცვის მიზნით უნდა განხორციელდეს ჭაბურღილის შემოღობვა. თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, რუსთავის გზატკეცილის მე-17 კმ, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 36 500 მ³ წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, რუსთავის გზატკეცილის მე-17 კმ.
8	აუქციონის საწყისი ფასი	1 180 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	118,0 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	436 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 12 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 6		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოების დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს

4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მინერალური წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოების დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მინერალური წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აცლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი პერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ) უნდა განხორციელდეს მონიტორინგული დაკვირვებები წყლის დებიტზე, ტემპერატურასა და ქიმიურ შემადგენლობაზე; თ) ლიცენზიის მიღებიდან ხუთი წლის ვადაში უნდა მოხდეს წყლის მარაგების დათვლა და შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა; ი) უნდა განხორციელდეს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა; კ) ექსპლუატაციის პერიოდში უნდა განხორციელდეს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი; ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოქალაქეებს არ შეუზღუდოს გადაადგილების უფლება ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე. მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში
		ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); ნ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ორბელის მიმდებარე ტერიტორიაზე „ლაშიჭალის" (წყარო №1 და №2) ნახშირმჟავა მინერალური (ჩამოსასხმელი) წყალი (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 547,5 მ³ წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ორბელის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	2 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 12 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 7		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქ. თბილისი, მდ. ლოჭინის ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 83 600 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქ. თბილისი
8	აუქციონის საწყისი ფასი	11 210 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 121 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	2 442 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 12 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 22		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხვარბეთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ნატანებზე „ნატანების" ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - C_1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 114 300 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხვარბეთის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	15 326 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 532,6 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	3 265 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 12 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 23		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხვარბეთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ნატანებზე „ნატანების" ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - C_1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 37 800 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხვარბეთის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	5 754 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	575,4 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	1 351 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 12 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	3 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

◎ ფეხბურთი

ვითომ გალობანი სინანულისანი?!

ფინეთთან სამარცხვინო მარცხის შემდეგ თემურ ქეცბაია, თითქოს, უჩვეულოდ თითმოკაკვული იყო.

ალბათ, რაღაც-რაღაცეები მეც შემეშალაო – განაცხადა „ჯვაროსანთა“ თავკაცმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე, როცა არა მარტო სკანდინავიელებთან, არამედ მთლიანად შესარჩევ ციკლში განცდილ ფიასკოს აფასებდა.

როცა საკვალიფიკაციო რაუნდის დაწყებამდე ძალთა ობიექტური გათვალისწინების საბაბით ფავორიტებს – ესპანელებსა და ფრანგებს კაპიტულაციას გამოუცხადებ (ვითომ სენსაციები არ ხდებოდეს), მოკრძალებულ მიზნად ხუთგუნდიან ჯგუფში მესამე ადგილის დაკავებას დაისახავ და იმასაც ვერ შეასრულებ, შენში თავმოყვარეობამ უნდა გაიღვიძოს, ეს კი, დამეთანხმებით, სათანადო ნაბიჯის გადადგმას გულისხმობს.

შესწევს კი ამის უნარი „ქეცბას“? რაღაც, არა მგონია, თორემ იგი, გადადგომას რომ აპირებდეს, თავის მოკატუნების მსგავს თვითკრიტიკულ გამოსვლას სიტყვით „ალბათ“ არ დაამშვენებდა. თუ არ გჯერათ, რომ ასე იქნება, აღდგომა და ხვალეო.

გია პლატონიშვილი

საქართველო – ფინეთი 0:1

გოლი: ერემენკო (75-ე წთ., პენალტით).

გაძევება: კანკავა (77-ე წთ).

სტუმრები შესვენებამდეც იმსახურებდნენ დაწინაურებას, მაგრამ იმ ეპიზოდებში ბედმა გაგვიღიმა.

სხვათა შორის, ანგარიშის გახსნიდან რამდენიმე წუთში პუკის დარტყმის შემდეგ რევიშვილის კარის ძელიდან ასხლეტილმა ბურთმა მეორედაც გადაკვეთა ხაზი, მაგრამ კვიპროსელმა მსაჯებმა თამაშს ინტერესი არ დაუკარგეს და გოლზე თვალი დახუჭეს. რა იცოდნენ მათ, რომ ჩვენს უმწეო ნაკრებს მხოლოდ ერთადერთი სახიფათო მომენტის შექმნა ძალუძდა, რომელიც ოქრიაშვილმა გაფლანგა.

და ბოლოს: როგორც გაირკვა, გუნდის ვეტერანმა ზურაბ ხიზანიშვილმა იუკადრისა ზედიზედ მეორედ ძირითადი შემადგენლობის მიღმა დატოვება და შეხვედრაზე მიმავალი გუნდის ავტობუსში არ ავიდა. ეტყობა, მართლაც „დომხალია“ ჩვენს ნაკრებში.

◎ მკლავჭიდი

15 მედალი პოლონეთიდან

საქართველოს მკლავჭიდელები (ფედერაციის პრეზიდენტი ერეკლე გურჩიანი) წარმატებით გამოვიდნენ პოლონურ გდანსკში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე (შეჯიბრებაში 49 ქვეყნის 1000-ზე მეტმა სპორტსმენმა იასპარეზა) – 15 მედალი მოიპოვეს, მათ შორის შვიდი – ოქროსი. განსაკუთრებით უფროსებში რევაზ ლუტიძემ (მძიმე წონა) იყოჩაღა – მარჯვენა მკლავით მან ცხრა მეტოქეს სძლია და ჩემპიონობა მოიპოვა, ცაციათი კი ბრინჯაოს დასჯერდა. უფროსებში ვერცხლის მედლები დაიმსახურეს გიორგი თვალიაშვილმა (85 კგ, მარჯვენა) და ირაკლი გამთენაძემ (90 კგ, მარჯვენა), ხოლო ბრინჯაოსი – ვასილ დაუთაშვილმა (100 კგ. მარჯვენა) და ჯაბა გეთიაშვილმა (80 კგ, მარცხენა).

ახალგაზრდები: 3 ოქრო - იმედა ჭინჭარაული (55 კგ. მარჯვენა და მარცხენა მკლავით), ნიკოლოზ წერეთელი (65 კგ, მარჯვენა), 1 ბრინჯაო – მერაბ კაკაბაძე (80 კგ, მარცხენა).

ჭაბუკები: 3 ოქრო – გურამ აბულაშვილი (65 კგ, მარცხენა და მარჯვენა), ვალერი მელაძე (80 კგ. მარცხენა), 1 ვერცხლი – ელჩინ ბინატოვი (80 კგ. მარჯვენა).

შეჯიბრებაში შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. ქართველთაგან ბესიკ ლეკიაშვილმა (75 კგ. მარჯვენა) მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო და ვერცხლის მედალი ერგო.

ლეძსო ცინცაძე

სურათებზე: მსოფლიოს ჩემპიონები და პრიზიორები ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტთან (მარცხნიდან მეხუთე) ერთად; შეჯიბრის მომენტი.

◎ ოლიმპიზმი

თომას ბახი – სოკ-ის სათავეში

თანამედროვე ოლიმპიურ მოძრაობას 1894 წელს ჩაეყარა საფუძველი, როცა ფრანგი ბარონის – პიერ დე კუბერტენის ინიციატივით ჩამოყალიბდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი. მის პირველ პრეზიდენტად ბერძენი პოეტი **დემეტრიოს ვიკელასი** აირჩიეს. 1896 წლის პირველი აღორძინებული ოლიმპიური თამაშების შემდეგ, რომელსაც ათენმა უმასპინძლა, სოკ-ს სათავეში **პიერ დე კუბერტენი** ჩაუდგა. იგი ამ ორგანიზაციას 1925 წლამდე ხელმძღვანელობდა, თუმცა პირველი მსოფლიო ომისას სამწლიანი პაუზა ჰქონდა და 1916-1919 წლებში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მოვალეობას შვეიცარიელი **გოდფრუა დე ბლონე** ასრულებდა. 1925 წლიდან სოკ-ს თავკაცობდნენ: **ანრი დე ბაიე-ლატური** (ბელგია, 1925-1942), **იოჰ ანეს ზიგფრიდ ედსტრიომი** (შვედეთი, 1942-1952), **ეიერი ბრენდეჯი** (აშშ, 1952-1972), ლორდი **მაიკლ მორის კილანინი** (ირლანდია, 1972-1980), **ხუან ანტონიო სამარანჩი** (ესპანეთი, 1980-2001) და **ჟაკ როგი** (ბელგია, 2001-2013). ამ დღეებში ბუენოს-აირესში გამართულმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 125-ე სესიამ ოლიმპიური მოძრაობის ახალ ლიდერად 59 წლის გერმანელი იურისტი **თომას ბახი** აირჩია, არადა, მასთან ერთად პრეზიდენტობაზე კენჭს იყრიდნენ სინგაპურელი მიანგ ნგი, შვეიცარიელი დენის ოსვალდი, უკრაინელი ოლიმპიური ჩემპიონი სერგეი ბუბკა და ტაივანელი ჩინგ კუ-ვუ. ვერც ერთმა მათგანმა 6 ხმაზე მეტი ვერ მიიღო, მაშინ, როცა გერმანელს 93-დან 49 კაცმა დაუჭირა მხარი. თომას ბახი სოკ-ის პირველი პრეზიდენტია, რომელსაც ზურგს ოლიმპიური ოქროს მედალი უმაგრებს. ხუთი წლისას დაუწყია ფარიკაობა რაპირით. 1970 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი, 1973 წელს გეტებორგში მოფარიკავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდურში ვერცხლის მედალი მოიპოვა, სამი წლის შემდეგ კი მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე გერმანელმა რაპირისტებმა, რომლის შემადგენლობაშიც თომას ბახიც გამოდიოდა, გუნდურ ფინალში იტალიელები დაამარცხეს და სამამულო სპორტის ისტორიაში ფარიკაობაში პირველად დაიმსახურეს ოლიმპიადის ოქროს მედალი. მომდევნო წელს ბახმა ბუენოს-აირესში (ისევ არგენტინა!) მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრებთან ერთად პირველი ადგილი დაიკავა. მსგავს შეჯიბრებებზე 1979 (მელბურნი) და 1981 (კლერმონ-ფერანი) წლებში ბრინჯაოს მედლები ერგო.

თომას ბახი დაიბადა 1959 წლის 29 დეკემბერს გერმანულ ვიურცბურგში (ბავარია), დაამთავრა მშობლიური ქალაქის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ოლიმპიურ მოძრაობას დაუბრუნდა 1991 წლიდან – სამარანჩის ინიციატივით იგი სოკ-ის წევრად აირჩიეს, 1996-2000 წლებში ამავე ორგანიზაციის აღმასკომის წევრი იყო, 2000-2004 და 2006-2013 წლებში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტად იყო არჩეული, სოკ-ის სხვადასხვა კომისიას ხელმძღვანელობდა. სასპორტო-საარბიტრაჟო სასამართლოს სააპელაციო კომიტეტის პრეზიდენტი წლების განმავლობაში გერმანულ სპორტსაც ხელმძღვანელობდა. 2006 წელს სწორედ მისი წინადადებითა და აქტიური მონაწილეობით გაერთიანდა გერმანიის სპორტული კავშირი და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი გერმანიის ოლიმპიურ სასპორტო კონფედერაციად, რომელიც სპორტის სამინისტროს და ოლიმპიური კომიტეტის ფუნქციებს ითავსებს. ამ ორგანიზაციაში 90.000 სასპორტო კლუბი და 27 მილიონი ადამიანია გაერთიანებული. სამშობლოს წინაშე დამსახურებისთვის თომას ბახი 1981-2004 წლებში გერმანიის ოთხი სხვადასხვა სახელმწიფო ორდენითაა დაჯილდოებული.

აი, ასეთია მოკლე ბიოგრაფია სოკ–ის ახალი პრეზიდენტისა, რომლისგანაც რეფორმებს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტშიც ელიან.

ვაჟა დანელია

სურათზე: ჟაკ როგი (მარცხნივ) და თომას ბახი.

◎ ინტერნეტიდან

ბრაზილიელი ფსევდომორალისტები

ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციაში ფიქრობენ, რომ 2014 წელს იქ გასამართი მსოფლიო ჩემპიონატის დროს მათ ქვეყანაში შესაძლებელია მეზობელი სახელმწიფოებიდან მეძავთა დიდი მოძალება იყოს და ბრაზილიის პოლიციას აქედანვე სთხოვენ ზომების მიღებას.

როგორც ჩანს, ბრაზილიური ფეხბურთის მამებს ბოლო დროს „მორალისტურმა ჭიაღუებმა“ შეუტიეს, თორემ ისეთ თავისუფალ ქვეყანაში, როგორიც ბრაზილიაა, წარმოუდგენელია, რატომ უნდა აიკრძალოს სექსტურიზმი. მით უმეტეს, როდესაც რიოს ცნობილ კარნავალზე, პირიქით, მსგავსი რამეების წაქეზება ხდება.

ბრაზილიური ფეხბურთის ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ მათ ქვეყანაში ადამიანები პირველ რიგში მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთის სანახავად უნდა ჩავიდნენ და არა მეძავებში საძრომიალოდ. მაგრამ საინტერესოა, როგორ გააკონტროლებენ, მავანი ტურისტი რომელ ბრაზილიელ ასულს მიუცუცქდება...

ვიტალი ჯაფარიძე

არდავიწყება

გერმანე ფაცაცია



აფხაზეთის საზოგადოებამ, სრულიად საქართველოს ინტელიგენციამ, პოლიტიკურმა ელიტამ, ეროვნულმა მოძრაობამ უმძიმესი დანაკარგი განიცადა. 62 წლის ასაკში ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა აფხაზეთის პრობლემის ჭეშმარიტი ჭირისუფალი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პოლიტიკური მებრძოლი, აფხაზეთის საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ღირსეული მამულიშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს უზენაესი საბჭოს და საქართველოს პარლამენტის წევრი (1991-2004 წ.წ.), აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **გერმანე გერმანეს ძე ფაცაცია**.

გერმანე ფაცაცია დაიბადა 1951 წლის 20 აგვისტოს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალდაბაში. დაამთავრა ქ. სოხუმის №18 საშუალო სკოლა, 1973 წელს კი თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. წლების მანძილზე ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ, სამეცნიერო და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. სხვადასხვა დროს მუშაობდა ქ. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში, იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. 1990-2004 წლებში იყო საქართველოს პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე მოწვევის პარლამენტის წევრი, 1995 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გერმანე ფაცაციას საზოგადოება იცნობდა, როგორც განათლებულ და ერუდირებულ, მჭერმეტყველ და ფართო დიაპაზონის მოაზროვნეს, არაორდინარულ პიროვნებას.

ბატონი გერმანე მთელი თავისი ცხოვრება იყო სიმართლისა და ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლი. ის ჯერ კიდევ სასკოლო ასაკში გამოირჩეოდა იმ დროისათვის მიუღებელი, ძალიან თამამი და თავისუფალი აზროვნებით. მის აზროვნებას ახასიათებდა ფართო გაქანება და მასშტაბურობა და ვერ იტანდა ჩარჩოებში მოქცევას. მან ყველაფერი მოჭარბებულად იცოდა – მუშაობაც, მეგობრობაც და მოლხენაც.

მისი ყოველი საზოგადო გამოსვლა თუ პოლიტიკური პოლემიკა დატვირთული იყო ღრმა ფილოსოფიური და ნათელი აზრებით, რომელთაც აშკარად გადაჰკრავდა ბუნებრივი მიმზიდველობის სიკაშკაშე და ხიბლი.

ბატონი გერმანე მიეკუთვნება იმ დიდ პიროვნებათა რიცხვს, რომელთაც მისი დროის ეპოქა შესაბამისად ვერასოდეს აფასებს. მომხიბვლელი, არაჩვეულებრივი მოსაუბრე და კიდევ უფრო საინტერესო ოპონენტი, გამორჩეული მაღალი ინტელექტით, ქართველთათვის დამახასიათებელი თბილი და გონებამახვილი იუმორის ნიჭით და, რაც მთავარია, ქართული სულის ადამიანი, ქართული სულის, რომელიც ყოველთვის წარმოადგენდა, მით უმეტეს, დღეს, ერის საუნჯეს.

ყოველი შეხვედრა და საუბარი მასთან მთავრდებოდა ახალი აღმოჩენით ან უკვე კლასიკად ქცეული სტანდარტული ნორმების ახლებურად დანახვით და შეფასებით.

გერმანე ფაცაციას მოღვაწეობა, ილია მართლის სიტყვებისა არ იყოს, იყო „მშვიდობიანი, დინჯი, არმყვირალა და მჩხავანა, გულმხურვალებით გამთბარი და გულმოდგინებით წარმართული, ერთგულებით ძირმაგარი და პატიოსნებით ნათელცხებული“.

არ არსებობდა ქვეყნისთვის არც ერთი სასიცოცხლო პრობლემა, რომელზეც ბატონ გერმანეს არ გამოუთქვამს თავისი წონადი და ყურადსაღები, ზოგჯერ კი პოლიტიკურად წინასწარმეტყველური მოსაზრება. გარდაიცვალა და თან გაიყოლა უდიდესი ტკივილი – დანაწევრებული საქართველოს მოუშუშებელი ჭრილობა, ფესვებს მოწყვეტილი „ქართული ნერგის“ – დევნილთა მშობლიურ კუთხეში დაბრუნების პრობლემა, რომლის მოგვარებისთვისაც ძალისხმევას არ იშურებდა.

საზოგადოებრივ თავყრილობებში ექსპრომტად წარმოთქმულ გერმანე ფაცაციას ლექსებს მისი ნიჭის თაყვანისმცემლები დროდადრო იწერდნენ ხოლმე შეძლებისდაგვარად და ცალკე კრებულად გამოაქვეყნეს კიდეც, რომელსაც ვაჟა ფშაველას სახელობის ლიტერატურული პრემია მიენიჭა.

უმწიკვლოდ და კაცური ცხოვრებით იცხოვრა ეს ხანმოკლე დრო, რომელიც განგებამ მისთვის უხვად მომადლებული ნიჭის დასახარჯად აჩუქა...

ამიტომაც სარგებლობდა ის საყოველთაო სიყვარულით და პატივისცემით, თავის ერუდიციას ჰარმონიულად უთავსებდა თავმდაბლობასა და უბრალოებას.

ნამდვილად დააკლდა ამ სამყაროს ასეთი უზადო ნიჭის მრავალმხრივი ინტელექტუალი, რჩეული პიროვნება, სამართლიანი და კაცთმოყვარე... მისი სიდიდე და ღირსებაც სწორედ ისაა, რომ თავის ნიჭი და შესაძლებლობები მაღალი ზნეობრიობით მოახმარა ყველა საქმეს... ასეთი ვალმოხდილი წარსდგება იგი უფლის წინაშეც და დაიმკვიდრებს განსასვენებელს, სადაც მართალნი განისვენებენ...

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო,
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით შექმნილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის გერმანე ფაცაციას სამთავრობო დამკრძალავი კომისია:

ელგუჯა გვაზავა – აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარე; **გიორგი ქავთარაძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი; **ანზორ წოწონავა** – აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; **დავით გვაძაბია** – აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; **რაისა ქარაია** – აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს ფრაქციათა კოალიციის თავმჯდომარე; **რუდიკ ცატავა** – აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ახალი აფხაზეთი – სამართლიანობის“ თავმჯდომარე; **ნუგზარ მგალობლიშვილი** – აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; **რევაზ გერგედავა** – აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი; **თამაზ კვარაცხელია** – აფხაზეთის ფინანსთა მინისტრი; **ოთარ გარმელია** – აფხაზეთის მთავრობის აპარატის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი.

ფაცაციას დაკრძალვასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის გერმანე ფაცაციას სამთავრობო კომისიის განცხადება

გერმანე ფაცაციას დაკრძალვა შაბათს, 2013 წლის 14 სექტემბერს. გამოსვენება ქ. თბილისი, ქაშუეთის ეკლესიიდან 14 სთ. პანაშვიდი 12, 13 სექტემბერს 16 სთ. მისამართი: ვაჟა-ფშაველას ქ: №2ა, I სადარბაზო, V სართული.

მეუღლე მარინა სვიმონიშვილი, შვილები ნინო, ანანო, და ლეილა, ძმა ერეკლე, ცოლისდა თამარი, დისწულები ედიშერ, გოგი ბერიები, ძმისწულები თამარი, ლუკა, სოფო, ბიძაშვილები ნოდარ, ლატავრა, ია, ზაირა, ბაბუცა ბენიძეები, ია, დიანა, ნათელა ფაცაციები, დეიდაშვილები ნელი დავითულიანი, ლალი დემეტრაძე, მამიდაშვილები კოტე, ლუდმილა დიხამინჯიები, ელისო საჯაია, ახლობლები და ნათესავები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გერმანე ფაცაცია

პანაშვიდი 12, 13 IX, 16 სთ. (თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ: №2), დაკრძალვა 14 IX, 14 სთ. გამოსვენება ქაშუეთის ეკლესიიდან.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდებული პიროვნება, სამშობლოსთვის გულანთებული ჭეშმარიტი პატრიოტი, შესანიშნავი მოქალაქე, უღალატო მეგობარი, მრავალმხრივი ნიჭიერებით გამორჩეული საზოგადო მოღვაწე

გერმანე ფაცაცია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

ერიტაჟი

ლონგინოზ ზაქაიძე

ჩვენს ქვეყანას გამოაკლდა შესანიშნავი პიროვნება და სახელმწიფო მოღვაწე, ქვეყნის ერთგული მოქალაქე, საქართველოს პურპროდუქტების სისტემის გამორჩეული ხელმძღვანელი, პურპროდუქტების მინისტრი 1986-91 წლებში **ლონგინოზ ზაქაიძე**.

დაიბადა დუშეთის რაიონის სოფელ ხარტიშოში 1929 წელს. იგი ერთი იმათგანი იყო, რომელსაც ღრმად სწამდა პიროვნული ნიჭიერების, მონდომებისა და პროფესიონალიზმის. კატეგორიულად არ იზიარებდა აზრს, თითქოს კომუნისტების დროს ადამიანი, გამორჩეული უნარის მიუხედავად, თანამდებობრივად ვერ დაწინაურდებოდა. ამას თვით მისი განვლილი ცხოვრების გზაც მეტყველებს. სოფელში რვაშვილიან ოჯახში გაზრდილი ახალგაზრდა თავისი ცოდნითა და გამოცდილებით იკავებდა ქვეყანაში მაღალ და ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობებს.

1950 წელს დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. მუშაობა დაიწყო სატყეო სამინისტროში რიგით ეკონომისტად, ნიჭიერი და მცოდნე სპეციალისტი სულ მალე ამ სამინისტროს საფინანსო განყოფილების ხელმძღვანელად დააწინაურეს, შემდგომ როგორც გამორჩეული ახალგაზრდა, გადაიყვანეს მაშინდელ მინისტრთა საბჭოში, საიდანაც პარტიის ცენტრალურ კომიტეტში დააწინაურეს როგორც საქმის ღრმა მცოდნე და ერუდირებული სპეციალისტი, ჩახედული სამეურნეო საქმეებში.

გასული საუკუნის 60-80-იან წლებში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების საქმეში მას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის. სწორედ იგი იყო მეხილეობის, მევენახეობისა და მეჩაიეობის, სოფლის მეურნეობის სხვა დარგების ინტენსიური განვითარების ინიციატორი, მისი პროფესიონალიზმი და ღრმა ანალიზი ყოველთვის ზუსტად ასახავდა ქვეყნის სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ განვითარების კონცეფციას.

ბატონი ლონგინოზი საქართველოს უმაღლესი საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი გახლდათ, სადაც აგრარულ კომიტეტს ხელმძღვანელობდა. მისი ყველაზე დიდი ღირსება და თვისება თავმდაბლობა, საქმეში ღრმად ჩაწვდომა გახლდათ. სწორედ ამ ნიშნით მისი ხელმძღვანელობით იზრდებოდნენ ის კადრები ვინც პურპროდუქტების სისტემაში ურთულესი 90-იანი წლები, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, უნაკლოდ გაიარა. ჩვენთვის ყოველთვის გასახსენებელია ლონგინოზ ზაქაიძის პრინციპულობა და შეუვალობა, პატიოსნება და წესიერება ამ კაცის სავიზიტო ბარათი იყო. სწორედ ამიტომაც არ უჭირდა სიმართლის პირში თქმა. მაგალითად, 1977 წელს, როდესაც მინისტრის რანგში ქვეყნის პირველ პირს შეეკამათა (რისთვისაც პირველად საქართველოში მას უწოდეს ოპოზიციონერი), ეს ოპოზიციონერობა ქვეყანას სასიკეთოდ წაადგა. დაგვეთანხმებით ასეთი გამბედაობა ყველას არ გააჩნდა. არასოდეს არ ივიწყებდა მშობლიურ დუშეთს (ფშავ-ხევსურეთს). მისი თაოსნობით არაერთი საინტერესო პროექტი და ღონისძიება განხორციელდა. მაგალითად (სოფელ არანისში საბჭოთა კავშირის გმირი ზაქრო ხიტალიშვილის უკვდავსაყოფად) ჟინვალის კომპლექსის განაშენიანება და განვითარება. იგი ნაღდი არაგველი გახლდათ. მისი წინაპრები ხადის ხეობის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ „ზაქათიდან“ მე-18 საუკუნეში სოფ. ჩარგალში ჩამოსახლებულან და რაზიკაშვილებს დამოყვრებიან, თურმე ვაჟა ფშაველა არაერთხელ სტუმრობდა ლონგინოზ ზაქაიძის წინაპრების ოჯახში და ამას სიამაყით იხსენებდა. უყვარდა და ეფერებოდა თავის მხარეს.

ტკივილიანი კაცი გახლდათ – ბუნებამ გვარის გამგრძელებელი მემკვიდრე არ შეარჩინა, მაგრამ ის მაინც იმედიანად უყურებდა ქალიშვილსა და საყვარელ შვილიშვილებსა და მათ მონაგარს.

ღმერთმა აცხონოს ამ შესანიშნავი პიროვნების სული, ჩვენ, კოლეგებს კი, ყოველთვის გვემახსოვრება ასეთი ძვირფასი კაცური კაცი, რომელსაც ვემშვიდობებით.

საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი

პანაშვიდი 12, 13 IX, 17 სთ. ქ. თბილისი, საბურთალოს ქ. 30-ა, დაკრძალვა 14 IX, 14 სთ. საბურთალოს (გაზდ.) ამაღლების ეკლესიიდან.

◎ ლიტერატურისა და ისტორიის წიაღ

„ლოლიტა“: კამათი დმერთთან

ამერიკელები ნაბოკოვს თვლიდნენ... სატირიკოსად

55 წლის წინათ, 1958-ის აგვისტოს 18-ს, ერთმა რუსმა ემიგრანტმა უკვდავყო თავისი სახელი და მსოფლიოს ყველა ენა არაერთი ახალი სიტყვით გაამდიდრა.

საამისოდ საჭირო გახდა არა მარტო იმისი ნიჭი, არამედ გამომცემლობა „პატნემის“ ადმინისტრატორთა კომერციული სითამამეც: მათ რუსის ნაშრომში ნამდვილი ოქროს ძარღვი დაინახეს. რუსს ერქვა ვლადიმერ ნაბოკოვი. სიტყვები, იმის სახელთან ასოცირებული, „ნიმფეტკა“ და „ლოლიტა“. კაცმა რომ თქვას, აშშ-ში იმ აგვისტოს დღეს გამოცემული რომანი ასეც იწოდება — „ლოლიტა“.

გენიოსის უცნაურობები

ადამიანებს ყოველთვის აინტერესებთ სახელგანსმენილ პიროვნებათა ახირებანი. პეტრე I-ს ტარაკანებისა ეშინოდა, ივანე კრილოვი ღორმუცელა იყო, თვეფორე დოსტოევსკი — აზარტული მოთამაშე, ლევ ტოლსტოის კი ფეხშიშველა სიარული, მიწის მოხვნა და ბალახის თიბვა უყვარდა.

ნაბოკოვიც მოხვდა ასეთ კომპანიაში. მაინც რა ჩაიდინა ვლადიმერ ვლადიმერის ძემ? ახალგაზრდა პოეტს იოსებ ბროდსკის აჩუქა ჯინსი (მეორე მსოფლიო ომის წინ, მაშინ თვითონ ღატაკმა, კომპოზიტორ სერგეი პროკოფიევისაგან ლურჯი კოსტიუმი მიიღო...); გატაცებული გახლდათ პეპლების შესწავლით; თითქოს მოყვარულის რანგში, არადა რამდენიმე მის მიერ აღმოჩენილი სახეობა დამახასიათებელ სახელს ატარებს — nabokovia, რაც გამოცდილ პროფესიონალსაც პატივს დასდებდა.

რა უცნაურიც არ უნდა ჩანდეს, რომანი „ლოლიტაც“ ახირებათა თანრიგში გადის; უფრო მკვეთრადაც — ნიჭიერი მწერლის „ფსიქოლოგიის ავადმყოფურ ნაღრძობთა“ თანრიგში. საეჭვოა, რომ ნაბოკოვისათვის — „საჩუქრის“ ან „ლუჟინის დაცვის“ ავტორისათვის მინები ჩაელეწათ. აი, „ლოლიტას“ ავტორს კი — მოურიდებლად ჩაუმტვრიეს. მეტიც, აქამდე უმტვრევენ. წლევანდელ 9 ივნვარს ნაბოკოვის პიტერის სახლ-მუზეუმის ფანჯარა ბოთლით ჩალეწეს, რომელშიც ბარათი იდო: „პედოფილიის პროპაგანდას რომ ეწევით, ღვთის წყრომის როგორ არ გეშინიათ?“ **სამი კვირის მერე „ნაბოკოვის სახლი“ დიდ საზღვაო ქუჩაზე ალისფერი არშინიანი წარწერით დაამშვენეს: „პედოფილი“.**

პარადოქსი თვალწინაა: ნაბოკოვის რომანში პედოფილიის, როგორც ასეთის, ნასახიც არ არის. მთავარი გმირი, იგივე მთავარი „ბოროტმოქმედი და შემცდენელი“ გუმბერტ გუმბერტი მიემგზავრება ლოლიტასთან. გოგონა 17 (ჩვიდმეტი!) წლისაა, ფეხმძიმედაა; და შეხვედრისას სწორედ ამ „შემცდენელისათვის“ ნათელი ხდება: არავითარი „ნიმფეტკები“ — პატარა გოგოები მას არ სჭირდება და სულაც არ აინტერესებს; და მხოლოდ ის ერთი უნდა; თუნდაც გულის ქვეშ სხვისი ბავშვის მატარებელი.

ეს მომენტი შეამჩნია ნაბოკოვის ერთობ შარიანმა კრიტიკოსმა, პოლონელმა ფანტასტმა სტანისლავ ლემმა. „რომანი სიყვარულსა და ვნებაზე“ — აი, როგორი იყო იმისი ვერდიქტი. სხვა კრიტიკოსები, როგორც წესი, ამერიკელები, აღნიშნავდნენ, რომ უფრო სასაცილო, გასართობი და სატირული წიგნი არ უნახავთ ჯონათან სვიფტისა და იმისი „გულივერის მოგზაურობის“ შემდეგ; ხოლო რუსული ემიგრაციის მთავარი გესლიანი კაცი — ნობელის ლაურეატი ივანე ბუნინი შენიშნავს: **„ნაბოკოვი — ყველაზე მოხერხებული მწერალია მთელ თვალუწვდენელ რუსულ ლიტერატურაში, თუმცა ცირკის კლოუნია.** მე კი, გამოგიტყდებით, მიყვარს ნიჭიერება, კლოუნებისაც კი“.

მაშ კლოუნი? გამკილავი? ნიჭი? თუ მაინც პედოფილი და პორნოგრაფი? ჩვეულებრივ ბოლო მოსაზრებისკენ იხრებიან... თუმცა აი, კიდევ ერთი კრიტიოკისის, ინგლისელის სიტყვები: „ნაბოკოვი დამცინავია და გესლიანი... პორნოგრაფიის მოყვარულნი კი არ იცინიან“. წმინდა სიმართლეა. პორნოფილმების ნებისმიერი რეჟისორი იტყვის, რომ სიცილი ერთიანად კლავს სურვილს.

სიყვარული და სპორტი

ინგლისში „ლოლიტა“ პარლამენტის დონეზე აკრძალეს. ეს მოხდა იმავე წელს, როცა ბრიტანელებმა ანათემას გადასცეს როკ-ნ-როლის ერთ-ერთი მამა, ახლაც ჯანმრთელად მყოფი ჯერი ლი ლიუისი. ლუიზიანას შტატის ეს ბინადარი წინდაუხედავად დაქორწინდა თავის 13 წლის დისწულზე. საეჭვოა, რომ რამე სცოდნოდა ნაბოკოვის „პედოფილური“ რომანის პუბლიკაციის თაობაზე. უბრალოდ, მის შტატში ნებადართული იყო 11 წელს ზემოთ გოგონებზე დაქორწინება.

„მე მეგონა, რომ აშშ-ში ჩემი რომანი აიკრძალება და არ გამოვა, — ამბობდა თვით მწერალი. — არადა, ის აკრძალეს ინგლისში, ავსტრალიასა და საფრანგეთშიც კი. შვედეთში ხომ მთელი ტირაჟი დაწვეს...“

რომანი — კარგი, მაგრამ იყო კი პედოფილი თვით ნაბოკოვი, რასაც ასე, ხშირად გვახსენებენ უსახელო არამზადები?

განა ნამდვილი პედოფილი შეირთავდა 25 წლის ქალს და მეუღლე მთელი სიცოცხლე ეყვარებოდა? ვერა სლომინი ეფექტური გარეგნობისა გახლდათ, მართავდა თვითმფრინავს, დადიოდა მოკრივეთა ორთაბრძოლებზე, თვითონაც მისდევდა კრივს, სპორტის ოსტატი იყო ტყვიით სროლაში, მშვენიერ საჭმელებს ამზადებდა და მუდამ თან ატარებდა ბრაუნინგს. იმასაც გვიყვებიან, რომ პარაშუტით ხტებოდა.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ალექსი ტოლსტოიმ რომანში „ინჟინერ გარინის ჰიპერბოლოიდი“ მაღალი წრის ძუ ლომის, ზოია მონროზის სახელით ვერა ნაბოკოვას პორტრეტი დახატა: „თანამედროვე ქალი, თუ სურს ბრწყინვალედ გამოიყურებოდეს, უნდა სწავლობდეს კრივს, საომარი მავთულივით იჩხვლიტებოდეს, ხელებზე დადიოდეს, წყალში ოცი მეტრიდან ხტებოდეს“.

მცირეწლოვანი სულელი ლოლიტა თავისი საღეჭითა და მდარე ხარისხის კომიქსების სიყვარულით, აბა, როგორ გახდებოდა ნაბოკოვის — მოკრივის, მხედრის, ჩოგბურთელისა და მწერლის მუზა? მაშ რატომ დაწერა ვლადიმერ ვლაიმერის ძემ ეს სკანდალური რომანი?

ერთ-ერთ ინტერვიუში მას წამოსცდა: „ამნაირად ერთი გადაუჭრელი პრობლემის მოგვარება გადავწყვიტე; რაღაც ჭადრაკის ამოცანების მსგავსისა“... ცოტა ხნის მერე კი დაუმატა: „ნამდვილმა მწერალმა ყურაღდებით უნდა შეისწავლოს მეტოქეთა შემოქმედება, ზენაარის ჩათვლით“. ეტყობა, სწორედ ამაშია „ლოლიტას“ აზრიც — ზენაართან დავაში; და მგონი, ნაბოკოვმა ის, როგორც მინიმუმი, გააყაიმა...

მოამზადა
თამაზ ეგანოიძემ

◎ ინფორმაცია

შსს-მ ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

შსს-ს ბათუმის საქალაქო სამმართველოს დეტექტივების განყოფილების თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვის ბრალდებით, 1971 წელს დაბადებული, წარსულში რამდენჯერმე ნასამართლევი კორნელი მ. დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა, კორნელი მ. ქობულეთის რაიონის სოფელ ცეცხლაურის მიმდებარე ტერიტორიაზე, „ოპელის“ მარკის ავტომანქანით გადაადგილებისას დააკავეს. ავტომანქანის ჩხრეკისას „ა-კა-ემ“-ის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ერთი მჭიდი და 29 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ინტერპრესი

რედაქცია გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— ველოსიპედი მინდა ვიყიდო, — ეუბნება დაშა დაქალს.

— ძვირფასო, შენს ასაკში საბავშვო ეტლის ყიდვას უნდა აპირებდე და არა ველოსიპედისა.

— აბა, რას მეუბნები, ამხელა ქალი საბავშვო ეტლში როგორ ჩავეტევი?

* * *

ძერაუმიანი ლამაზმანის მანქანა უკნიდან დაეჯახა სხვა ავტომობილს.

— შე ჩერჩეტო, მართვის მოწმობის ასაღებად გამოცდები მაინც თუ გაქვს ჩაბარებული? — ეჩხუბება დაზიანებული მანქანის მძღოლი ლამაზმანს.

— რა თქმა უნდა, შე მახინჯო. თანაც, შენგან განსხვავებით, სამჯერაც კი!

* * *

— **სარკეში** მაინც ჩაიხედე! რამდენი წელია, ჩემს ხარჯზე ცხოვრობ ჩემს ბინაში, შენგან კაპიკიც რომ არ მიმიღია, ისე გაჭმევ, გასმევ, გაცმევ, გირეცხავ, იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, საწოლშიც რომ გიწევარ!

— და შენ კიდევ უიღბლოს მეძახი?!

* * *

— **სად** იყავი აქამდე? — დაკითხვას უწყობს ცოლი ქმარს.

— ქორწილში. ვერც კი წარმოიდგენ, როგორ დავთვერით ყველანი...

რატომაც არა, ყველაფერს კარგად ვხვდები.

— **რით?**

— **შენ ხომ ფატა გახურავს...**

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსაკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24